# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 აპრილი, 2009 წელი.

№ 66 (6167)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ბატონო პრეზიდენტო, ოპოზიცია კვლავ მარშზეა



საქართველოში დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩის დონალდ მაკლარენის ღია წერილი პრეზიდენტ სააკაშვილს

8

## როცა სასწორზე დევს თვით საქართველოს არსებობა

2

### ქართული დიასპორა:

## სააკაშვილი რუსეთს უფრო მეტად აძლევს ხელს, ვიდრე ამერიკას

3



4

## არასწორი არჩევანი ლიდერისთვის საშიშია, ქვეყნისთვის კი - დამღუპველი

## აკაკი წერეთლის „სპექტაკლის საზოგადოება“

5





## უფსკრულში გადაჩეხვის ღირსნი...

7

## სააკაშვილმა ადეიშვილს ყვარელი აჩუქა?

11

## როგორ წაართვა გიგი უგულავამ „ურჩ“ ჟურნალისტს ბინა მეორედ

5

ინფორმაცია

## კათალიკოს-პატრიარქმა საზოგადოებას ურთიერთმოსმენისკენ მოუწოდა



**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საზოგადოებას ურთიერთმოსმენისკენ მოუწოდა. ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში არსებულ ხარების ტაძარში პატრიარქმა სადღესასწაულო ღვთისმსახურება შეასრულა.**

— ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც შეუძლია სიყვარული. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მოაქვთ სიხარული, სადაც არ უნდა შევიდნენ, სახლი იქნება, თუ დაწესებულება, ხარობს. ეს ნიშნავს, რომ მისი გული ტაძარია უფლისა. მადლი სულისა წმინდისა არ შეიძლება გაჩერდეს ერთ ადამიანზე, ის ყველას ეფინება. ზოგიერთი ადამიანი ჩაკეტილია თავის გულში და იქ ადგილი თავის ოჯახის წევრებსაც კი არ აქვთ. იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს გავუგებთ და ვისწავლით ერთმანეთის მოსმენას,— ბრძანა უწმინდესმა.

## პრეზიდენტი ფოთში

**სააკაშვილმა 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტის პრეზენტაცია ერთ-ერთი ფოთელის ლორენცი გოგელიძის ოჯახში გამართა, სადაც ინფორმაცია სამუშაოებთან დაკავშირებით პირადად პროექტის ხელმძღვანელებისა და სამეგრელოს გუბერნატორისგან მოისმინა.**

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სასმელი წყლის პროექტის წარმატებულად დასრულება ძალიან მნიშვნელოვანია, როცა საუბარია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობის აქტიურ ფაზაში გადასვლაზე.

პრეზიდენტი ფოთში მოსახლეობასაც შეხვდა, რომლებმაც თავიანთ პრობლემებზე ისაუბრეს. სააკაშვილი ფოთიდან ბათუმში გაემგზავრა.

## მიხეილ სააკაშვილი: დიალოგი აუცილებელია, თუნდაც ყველაზე რადიკალურ და ყველაზე მცირე ჯგუფთან



**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდა.**

**როგორც პრეზიდენტმა ფოთში ყოფნისას განაცხადა, დიალოგი აუცილებელია, თუნდაც ყველაზე რადიკალურ და ყველაზე მცირე ჯგუფთან.**

— იმაზე საუბარმა, რომ ჩვენ თქვენი აზრი არ გვაინტერესებს, რასაც გვინდა მაინც იმას ვიზამთ, მთავრობის მხრიდან, ოპოზიციის მხრიდან რამდენჯერმე ჩვენი ქვეყანა მიიყვანა კატასტროფამდე. ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს 20 % არის ოკუპირებული, საფრთხე არ მოხსნილა და ტერიტორიები გვაქვს გასათავისუფლებელი, არის მსოფლიო კრიზისი, რომელიც ურტყამს თითოეულ ჩვენს ოჯახს, დიალოგს, ერთმანეთის მოსმენას, კომპრომისის ძიებას წინ არაფერი უდგას და ამ ძველ პრაქტიკაზე ყველამ უარი უნდა ვთქვათ. ჩვენ ყველას აზრი უნდა გავითვალისწინოთ. სიტუაცია გაუმჯობესდა ამ მხრივ პარლამენტში, დიალოგი დაიწყო არასამთავრობო სექტორში და რეგიონულ საკითხებში, რეგიონებს შორისაც. მაგრამ, ყველაზე პატარა, ყველაზე რადიკალურ ჯგუფთანაც კი საჭიროა დიალოგი, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს მათი მოთხოვნა, რადგან ალტერნატივა საქართველოს, უბრალოდ, არ აქვს, — აცხადებს სააკაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

ხმა ქვეყნის გასაგონად!

# როცა სასწორზე დევს თვით საქართველოს არსებობა

**მიმართვა**
**საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, ჟურნალისტებისა და ხელისუფლებისადმი**

**ქვეყნისთვის ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც სასწორზე დევს საქართველოს აწმყო, მისი მომავალი და თვით არსებობაც კი, როდესაც პოლიტიკური კრიზისი კულმინაციას უახლოვდება, მოგმართავთ თქვენ, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა, ეთნიკური წარმოშობისა და აღმსარებლობისა.**

**აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა საჭიროებს სწრაფ პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც უნდა განხორციელდეს მშვიდობიანად, კანონის ფარგლებში და კონსტიტუციური წყვეტის გარეშე.**



**9 აპრილს ჩვენ უნდა გამოვავლინოთ მაღალი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი თვითშეგნება, მტკიცე ნება და მზადყოფნა ხელისუფლების ცვლილებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეულ ჩვენგანს მოგვიწევს ტირანიის პირობებში ცხოვრება და ღირსებაზე უარის თქმა, სახელმწიფო კი დაკარგავს ნორმალური განვითარების პერსპექტივას. შედეგი თითოეული მოქალაქის აქტიურობასა და გააზრებულ მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული. ქვეყნის ბედი საზოგადოების ხელშია.**

**მოგმართავთ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს: იყავით პრინციპულნი და თანმიმდევრულნი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვაში. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ქმედებები იქნება მშვიდობიანი და, რაკი საქმე გვაქვს არაადეკვატურ და უპასუხისმგებლო უმაღლეს ხელისუფალთან, ყველაფერს გააკეთებთ მისგან მოსალოდნელი ძალადობის და პროვოკაციების პრევენციისა და დროული აღკვეთისთვის. ამისი გარანტია იქნება თქვენი კოორდინირებული და სწორად გათვლილი სამოქმედო გეგმა. ნურავის მისცემთ უფლებას, სააკაშვილის სკამს ქვეყანა გადააყოლოს.**

**მოგმართავთ ჟურნალისტებს: ნუ იქნებით მიკერძოებულნი, ნურავის მისცემთ უფლებას, დიქტატისა და ზეწოლის გზით შებღალოს თქვენი ადამიანური და პროფესიული ღირსება. ნუ შეიყვანთ შეცდომაში ქვეყნის მოსახლეობას; თქვენი ვალია, საზოგადოებას დროულად ამცნოთ სიმართლე, რათა საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ სამშობლოსათვის ამ გარდამტეხ მომენტში მიიღოს საკუთარი გულის, აზრისა და ნების შესატყვისი გადაწყვეტილება.**

**მოგმართავთ ხელისუფლების წარმომადგენლებს: არ დაუშვათ ძალადობა და ხალხის ნების დათრგუნვა. ეს გააღრმავებს უფსკრულს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და უეჭველად იქნება კატასტროფული შედეგების მომტანი, პირველ რიგში თქვენთვის. პროცესის მშვიდ, კონსტიტუციურ კალაპოტში წარმართვისთვის აუცილებელია რეალური ნაბიჯების გადადგმა სამართლიანობის აღდგენისთვის. ამას ხალხი სწორ შეფასებას მისცემს. ამ ურთულეს ვითარებაში იხელმძღვანელეთ არა პირადი, ან პარტიულ-სახელისუფლებო ინტერესებით, არამედ საერთო-სახელმწიფოებრივი, პატრიოტული და მოქალაქეობრივი შეგნებით. ნუ გაწირავთ საკუთარ შვილებს სირცხვილისა და დამამცირებელი ცხოვრებისთვის. დადექით ხალხის გვერდით, რითაც შეძლებთ საკუთარი ღირსების გადარჩენასა და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში სრულფასოვან თანამონაწილეობას.**

„ქართული აკადემია“ — „ზნეობრივი ფრონტი“

განცხადება

## მომიტინგეთა უსაფრთხოების მიზნით

**„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია მომიტინგეთა უსაფრთხოების მიზნით ქართველ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს.**

ამის შესახებ ირაკლი ალასანიამ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის წინ განაცხადა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება სტაბილური იქნება და მანიფესტაცია მშვიდობიანად ჩაივლის, მაგრამ მომიტინგეთა უსაფრთხოებისთვის დამატებითი ზომების მიღების მიზნით მზად ვართ, ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობა ვაწარმოოთ, — აღნიშნა ალასანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

ძველი პუბლიკაცია

# შეჩერდით, ძმებო!

**მძიმე, ძმათაგამთიშველი დღეები დაუდგა საქართველოს. ქართველები ახლა უფრო ზიზღითა და გაბოროტებით მივჩერებივართ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ მოგვჩერებიან ჩვენი დაუძინებელი მტრები, შავ-ბნელი ძალები. მტრები ხითხითებენ და საათზე იყურებიან, როდის დავერევით და სისხლში ჩავახრჩობთ ჩვენს სამშობლოს, მის დღევანდელობას და მომავალს. ამასაც მოვესწარით! რამ დაგვიბნელა ცნობიერება, რა სატანა ჩაგვჯდომია სხეულსა და გონებაში? ნუთუ არსებობს უფრო ძვირფასი, უფრო მაღალი დემოკრატია, პარტიულობა, პოზიცია, ოპოზიცია, ტაქტი, ვიდრე საქართველოს თავისუფლება, ვიდრე ჩვენი ურთიერთძმობა და სიყვარულია. ნუთუ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა იმისათვის ილვაწეს და იომეს 25 საუკუნე, რომ წყალს, ღვარცოფს გავატანოთ ყოველივე? ნუთუ დღევანდელი ჩვენი ერთმანეთის დარევა, ლანძღვა, მუქარა, ჩასაფრება, შეურაცხყოფა ეკადრება დიდი დავითის, თამარის, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაქტიონის შთამომავალთ?**

**შეჩერდით, ძმებო! მოუხმეთ გონიერებას, სიბრძნეს! ნუ გავახარებთ მტერს, ნუ შევაჩვენებთ და ნუ გავწირავთ ჩვენი მამა-პაპის ძვლებს.**

**ბატონო პრეზიდენტო, ბატონო ოპოზიციონერებო! მიუსხედით მრგვალ მაგიდას მშვიდობიანი, ადამიანური, კაცური დიალოგისთვის, ეროვნული პრობლემების ჭკვიანური გადაწყვეტისთვის, ნუ გადავაყოლებთ ნაბან წყალს იმ პატარა ანგელოზს, რომელსაც საქართველო, ქართული ჯიში და გენი ჰქვია.**

**გთხოვთ, შეისმინოთ ჩვენი თხოვნა, ჩვენი ვედრება!**

300 არაგველის სახელით:
ხვთისავარ არჩემაშვილი, კობა არაბული, გიორგი ცოცანიძე, შოთა ქავთარაძე.

**რედაქციისგან:** ეს წერილი ჩვენი გაზეთის 1991 წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა. დღეს მას განმეორებით ვბეჭდავთ, რადგან იგი კვლავ აქტუალური და ყურადსაღებია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ კვლავ განმეორდეს ის ტრაგედია, რომელიც მაშინ, ამ წერილის პირველი პუბლიკაციის დღიდან სამი თვის თავზე, საქართველოში დატრიალდა! იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს!

კანონმდებლები

## ჟურნალისტებს პატრული ავიწროებს

**ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე ჟურნალისტებზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს.**

ამის შესახებ ვეფხვაძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინ გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტებზე ანი ხავთასსა და ნინო კომახიძეზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტი გააპროტესტა.



დეპუტატის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციამ ამ ადამიანების პროფესიის შესახებ იცოდა, მაინც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ერთ-ერთ მათგანს მანქანაშიც კი „ტენიდნენ“.

ვეფხვაძეს მიაჩნია, რომ ამ ფაქტზე სულ მცირე ორი მუხლით მაინც უნდა აღიძრას საქმე — ჟურნალისტის საქმიანობის ხელისშეშლისა და უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის.

ვეფხვაძის თქმით, ამ ფაქტის გამო აუცილებლად უნდა დაისაჯოს ვინმე, რადგან საქართველოში ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები აღარ განმეორდეს.

## ძირს სხვისი პულტები!

**პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომის გახსნისას, დარბაზში მაქსიმუმ 65 დეპუტატი იყო, თუმცა ტაბლოს მონაცემებით, რეგისტრაცია 80-მა კანონმდებელმა გაიარა. შესაბამისად, დეპუტატებმა სხვისი პულტების მეშვეობით კვორუმიც შეადგინეს. კვორუმისთვის 76 დეპუტატია საჭირო.**

სხვისი პულტების გამოყენება, რეგლამენტით, ხელფასის დაქვითვით ისჯება. კერძოდ, ხელფასი უნდა დაექვითოს დეპუტატს, რომელიც სხდომათა დარბაზში არ იმყოფება და მისი პულტი გამოიყენეს.

**ინტერპრესნიუსი**

**კერძო აზრი: ამ დღეთა გამოძახილი**

# მ. სააკაშვილი რუსეთს უფრო მეტად აძლევს ხელს, ვიდრე ამერიკას, მაგრამ მისი ხელისუფლება დამღუპველია საქართველოსთვის



საქართველო გაირინდა აპრილისწინა დღეებში და 9 აპრილს ელოდება, როგორც დიდი ხნის ნანატრ კინოპრემიერას და ცის ნამს, რომელიც მას გადაარჩენს უზურპატორისაგან, თავიდან აცილებს კატასტროფას და ქვეყანას მისცემს მომავლის შანსს. მაგრამ ვაი რომ...

ცუდია, როცა არაფერი იცი, მაგრამ კიდევ უფრო უარესია, როცა ბევრი რამ იცი, მაგრამ არ შეგიძლია ზოგიერთი ინფორმაციის სხვისთვის გაზიარება. ამით იყო გამოწვეული ჩემი ერთგვარი დუმილი. შევეცდები, არ ვილაპარაკო არაფერი ზედმეტი და განსაკუთრებული, რის შესახებაც არ ყოფილა საუბარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მაგრამ ერთია ჭორები და სიცრუე, და სულ სხვაა სწორი ინფორმაცია.

რასაკვირველია, ბევრისთვის არ არის საიდუმლო, რომ:

— მ.სააკაშვილი არის უკვე გადამუშავებული მასალა და ჩამოწერილია;

— მ.სააკაშვილმა შეასრულა ორი სუპერსახელმწიფოს გავლენის ზონებად საქართველოს დაყოფის თავისი ამოცანა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში შედიოდა და გულისხმობდა რუსეთის ჩართვას ამ იძულებითს ავანტიურასა და ხაფანგში რუსეთის ფედერაციის შემდგომი გაღიზიანებისა და დაშლის მცდელობის მიზნით;

— რუსეთი იძულებული იყო გადაეყლაპა ეს მწარე აბი და ახლა იმკის იმ ჭუჭყსა და ხიფათს, რაშიც ჩაითრიეს. არის ყოველგვარი საფრთხე, რომ იგი უკვე მოელაპარაკა ამერიკის შეერთებულ შტატებს და ყველა შემდგომი პროცესი იქნება საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო, რაც მას უქადის შემდგომ ეკონომიკურ და ტერიტორიულ კატაკლიზმებს, ქართული ეროვნული ინდენტურობის წაშლას და სახელმწიფოებრიობის შესაძლო დაშლას. თუ ეს დღეს საფრთხობელებად გვეჩვენება, ხვალ, თუ არ შევცვლით საქართველოს პოლიტიკურ სისტემას და ვექტორს და ხელისუფლებაში არ მოვიყვანთ ჭეშმარიტად პროქართველურ პოლიტიკოსებს, უკვე გვიანი და ჩვენი სამშობლოსთვის მეტად ტრაგიკული იქნება;

— ამერიკას სურს შეცვალოს სააკაშვილი უფრო შერაცხადი და გაწაფული სააკაშვილი-2-ით, რომელსაც, დიდი სურვილის მიუხედავად, არ შეეძლება ემსახუროს საქართველოს ინტერესებს;

— იმისათვის, რომ გაიყვანოს ეს კანდიდატურები, არის რამდენიმე სცენარი და იანკები წავლენ ყველაფერზე, მათ შორის სისხლიან ავანტურაზეც, რათა ხელისუფლებაში მოიყვანონ ერთ-ერთი თავისი კანდიდატურა;

— საქართველოში, ასე თუ ისე რეალურ პროქართულ პარტიებად შეიძლება ჩაითვალონ შარტავას, სანიკიძისა და სხვათა ბლოკი, კონსერვატიული პარტია და შეიძლება კიდევ 2-3 რეალური ძალა;

— რუსულ ხრიკებში მონაწილეობის ყველა ბრალდების მიუხედავად, ოპოზიციური ძალების დღევანდელ სპექტრში არც ერთი არ არის პრორუსული და რუსეთი არც ცდილობს ამ მინდორზე თამაშს, ვინაიდან არ შეუძლია ეფექტიანი გავლენის მოხდენა სიტუაციაზე საქართველოს შიგნით, რომელიც მას აღარ აინტერესებს, და აირჩია სხვა ტაქტიკა;

— რუსეთს, პრაქტიკულადაც და სერიოზულადაც, აღარ აინტერესებს საქართველო და ორი უბედურებიდან — სააკაშვილი თუ სააკაშვილი-2 — აირჩია თავისთვის უფრო მცირე და საქართველოსთვის გაცილებით უფრო უარესი, ე.ი. საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, რომლის მმართველობის გაგრძელებაც მას ხელს აძლევს მთელი რიგი მიზეზების გამო:

სააკაშვილი არაადეკვატური და დამნაშავე ელემენტია, რის შესახებაც იცის მსოფლიომ და რომელსაც მისი აღარ სჯერა, სერიოზულად არ ღებულობს მას, მაშასადამე, საქართველოსთვის ყველა კარი დახშულია;

სააკაშვილი აღარ უყვარს ქართველ ხალხს, ის არის საქართველოს მტერი, დამანგრეველი და გამღიზიანებელი, მაშასადამე, საქართველოს ელოდება დაუმორჩილებლობის აქციები და უბედურება;

რუსეთის პოზიცია სააკაშვილთან დაკავშირებით ყველასთვის ცნობილია, მასთან საუბარი არავის არ სურს და, ამას გარდა, შეიძლება, რომ მთელი ბრალეულობა და პასუხისმგებლობა დააკისროს მას;

ახალ ხელისუფლებას, თუნდაც იგი წმინდად პროამერიკული იყოს, რუსეთი დაელაპარაკება, გაუწევს მას ანგარიშს და იმოქმედებს ყველა საერთაშორისო წესების, ნორმებისა და ეტიკეტის შესაბამისად, რაც უკიდურესად აუცილებელი და მნიშვნელოვანია საქართველოსთვის;

არის მეტად სერიოზული და, ჩემი აზრით, უტყუარი ინფორმაცია, რომ მ.სააკაშვილმა, შუამავლების დახმარებით, აწარმოა მოლაპარაკება, მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და მიაღწია მასთან რუსეთის დამოკიდებულების ასეთ პოზიციას იმიტომ, რომ ეს ყველას აძლევს ხელს, თავად საქართველოს გარდა, რომლისთვისაც სააკაშვილის მმართველობის გაგრძელება სიკვდილის ტოლფასია.

რუსეთი დაჰპირდა, რომ არაფერს გააკეთებდა პრეზიდენტის თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისთვის, პირიქითაც, ჩვენს დიასპორას ურჩევს, თავი შეიკავოს მოქმედებებისაგან და მის წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი აქციებისგან. მ.სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, მისი გადაყენებისა და ქართველი ხალხისა და ოპოზიციის მხარდამჭერი მიტინგის გამართვის ნებასაც კი არ აძლევს, ვინაიდან თითქოსდა ეშინია, რომ ეს შეიძლება ჩათვალონ „კრემლის“ აქციად და საქართველოს საქმეებში ჩარევად. მე პირადად არ მესმის რუსეთის ასეთი სირაქლემისეული პოზიცია.

როგორც ხედავთ, ყველა ჩვენი შიში მართლდება როგორც რუსეთის უმოქმედობით, ისე მისი ღია, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ჩაურევლობით საქართველოს საშინაო საქმეებში. რუსეთი უფრო ხელსაც უწყობს მას როგორც თავისი მოქმედებებით, ისე განცხადებებით მ.სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან შესანიშნავად იცის, რომ ყველა ეს მოქმედება მის სასარგებლოდ ბრუნდება და აძლევს საფუძველს, გაასულელოს ხალხი რუსული საფრთხით და სხვა რამეზე გადაიტანოს ყურადღება.

ამ ფონზე უცნაურია, თუ პროვოკაციული არა, მ.ხუბუტიას განცხადებები, რომელმაც ქართულ ოპოზიციას მოუწოდა, საერთოდ არ გამოვიდეს ქუჩებში 9 აპრილს და გაამჟღავნა მოსაზრება, რომ უკეთესია ხელისუფლებაში შევინარჩუნოთ მ.სააკაშვილიო, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მას „კრემლის“ აგენტს უწოდებს.

მიუხედავად ამისა, აქ, ჩემი აზრით, ყველაფერი მარტივად აიხსნება, ვინაიდან ეს არის პირადი პოზიცია მ.ხუბუტიასი, ვისთანაც ვცდილობ ვიქონიო მეგობრული ურთიერთობა. ის კარგი და განათლებული ადამიანია და საუკეთესო ბიზნესმენი, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პატრიოტია, რომელმაც კეთილი სურვილებით გადაწყვიტა ჩაერთოს პოლიტიკაში, მაგრამ, როგორც ეტყობა, სხვის ნავში ჩაჯდა და არ იცის, საით მოუსვას ნიჩბები, და ამიტომ ურტყამენ მას ყველა მხრიდან, თუმცა ზოგიერთს ეს კარგ პიარადაც კი მიაჩნია.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ კ.ზატულინიც, რომელიც, ჩემი აზრით, რუსეთ-საქართველოს მეგობრობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლია, უეცრად ტელევიზიაში შლის ქართულ სუფრას, იქ წესიერ ხალხთან ერთად იწვევს ისეთ გარეწარს, როგორიცაა თ.ბეგიშვილი, და სვამს ქართველი ხალხისა და საქართველოს სადღეგრძელოს. როგორც მინიმუმი, ეს დიდი ცინიზმია, ვინაიდან, რაც უფრო ცუდია საქართველოსთვის, მით უკეთესია მისთვის. ეს, იმასთან ერთად, რომ სააკაშვილის ბევრი რუსეთელი კრიტიკოსი მიყუჩდა, მეტად საეჭვოა და გვარწმუნებს, რომ რუსეთი ეთამაშება მიშიკოს, მას ხელს აძლევს მისი შემდგომი ზემოქმედება საქართველოზე, რომ ასეთი განლაგება შეიძლება ხელსაყრელი იყოს ამერიკისთვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავად საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის, რომელიც დგას ქვეყნისთვის საბედისწერო არჩევნის წინაშე.

9 აპრილის მოვლენების წინ რუსეთის და სხვა ქვეყნების ქართული დიასპორების მრავალი წარმომადგენლის სახელით მოვუწოდებთ პირადად მიხეილ სააკაშვილს, დროზე მოეგოს გონს და მშვიდობიანად გაეცალოს ქვეყანას, რითაც მას შვებას მოუტანს. 9 აპრილის მერე, მიშიკო, ასეთი შანსი აღარ გექნება, მოგიწევს ან ციხეში ან ჯოჯოხეთში წასვლა.

მოვუწოდებთ დე ფაქტო პარლამენტსა და სახელისუფლებო ორგანოებს, სამართალდამცავებს: დაარწმუნეთ მ.სააკაშვილი, გადადგეს თანამდებობიდან. თუ არ გადადგება, მაშინ თქვენ დატოვეთ თქვენი თანამდებობები და ამ გზით იხსენით საქართველო. თქვენი ვალია ემსახუროთ სამშობლოს და არა პირადად მ.სააკაშვილს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, სრულიად ქართველ ხალხს მოვუწოდებთ კონსოლიდაციისა და ქვეყნის განთავისუფლების საქმის ბოლომდე მიყვანისკენ მშვიდობიანი პროტესტის გზით. ნურავინ დაიკავებს მომლოდინე პოზიციას, საჭიროა მოქმედება. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციას — მიტინგების და დაუმორჩილებლობის აქციების ორგანიზატორებს — არ შედრკეთ და გაითვალისწინეთ 2007-2008 წლების გაკვეთილები! ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ დემოკრატიული გზით აირჩიოს ხელისუფლება!

ღმერთი ჰფარავდეს ჩვენს საქართველოს და მის ხალხს.

**ვლადიმერ ხომერიკი,**
*ქართველი და რუსი ხალხების ერთიანობის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი (მოსკოვი)*

caucasia-experts

**ოპოზიცია**

# სააკაშვილმა დიპლომატიური კორპუსის შეცდომაში შეყვანა სცადა?

## დიპლომატთა მეშვეობით რა თხოვნით მიმართეს არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა ყველა ქვეყანას

***გუშინ, „თბილისი-მარიოტში“ არასაპარლამენტო ოპოზიციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა.***

***შეხვედრის დაწყებამდე გახმიანდა მიხეილ სააკაშვილის შეთავაზება ოპოზიციისთვის დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, რაზეც, როგორც მოსალოდნელი იყო, მტკიცე უარით უპასუხეს.***

**კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია):** — მზად ვართ დიალოგისთვის სააკაშვილთან, მაგრამ ეს უნდა მოხდეს საჯაროდ და უნდა შეიცავდეს ერთადერთ საკითხს: მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. სააკაშვილი შეეცადა, რომ დიპლომატიური კორპუსი შეცდომაში შეეყვანა, როცა მითიურ დიალოგზე დაიწყო საუბარი. ეს არის სიმულაცია და ამით სურს დროის მოგება.

**ირაკლი ალასანია (ალიანსი საქართველოსთვის):** — დიალოგის რესურსი არასოდეს არ არის ამოწურული, მაგრამ სააკაშვილმა ეს უნდა გააკეთოს ხალხის თანდასწრებით, საჯაროდ, თუ ის ამაზე წამოვა.

რაც შეეხება 9 აპრილს, ამ კრიზისიდან საქართველო უფრო ძლიერი გამოვა, ვიდრე დასუსტებული...

დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის თემა კი უშუალოდ 9 აპრილს დაგეგმილ მანიფესტაციას და მოსალოდნელ პროვოკაციებს შეეხებოდა. დიალოგი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა შეხვედრის ბოლოს ოპოზიციის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. ოპოზიციური სპექტრის სახელით კომენტარი **ლევან გაჩეჩილაძემ** გააკეთა. მან აღნიშნა, რომ დიპლომატიური კორპუსის დახმარებით მიმართეს ყველა ქვეყანას, არ ჩაერიონ საქართველოს საშინაო საქმეებში. რაც შეეხება მანიფესტაციას, ოპოზიციის მხრიდან იქნება სერიოზული კონტროლი და ადგილზევე აღვკვეთავთ პროვოკაციებს, — აღნიშნა მან.

**ნინო ბურჯანაძის** თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიციამ დიპლომატიურ კორპუსს გააცნო ყველა ის მექანიზმი, რითაც მათი წარმომადგენლები მანიფესტაციის მონიტორინგს შეძლებენ. მით უმეტეს, რომ აქციაზე იქნებიან სახალხო დამცველის წარმომადგენლები, რომლებიც სერიოზულ მეთვალყურეობას გაუწევენ მიტინგზე მიმდინარე პროცესებს.

ერთი სიტყვით, ხელისუფლების ცდები ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა. 9 აპრილს მიტინგი გარდაუვალია. ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი **ნუგზარ წიკლაური** შემდეგ კომენტარს აკეთებს: — **„ეს არის ოპოზიციის უპასუხისმგებლო საქციელი, რომელიც უკან დაწევს ქვეყანას. ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება — გადადგეს სააკაშვილი — არ შეიძლება. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ხალხი მოვა, რადგან პრეზიდენტს მხარი მილიონ ასი ათასმა ადამიანმა დაუჭირა. ამხელა რაოდენობას კი 9 აპრილს ნამდვილად არ ველოდებით. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის რეკომენდაციები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გვაწვდიან. ამიტომ რადიკალური მოთხოვნა არ არის გამართლებული.**

**პუტინმა ადრე თქვა „ჩვენმა ბომბებმა იმუშავეს, დანარჩენს ქართველი ხალხი ჩვენს მაგივრად გააკეთებსო“, ეს აქციებიც სწორედ ამის გაგრძელებაა.“**

***რაც შეეხება 9 აპრილს, წიკლაურის თქმით, პარლამენტარებისთვის საგანგებო რეჟიმი არ გამოუცხადებიათ, თუმცა არასამუშაო დღეს ის მაინც პარლამენტში გაატარებს და თვალყურს მიადევნებს მიტინგს და იმასაც, რა კონკრეტულ მოთხოვნებს წამოაყენებს ოპოზიცია.***

**თეა მოსია**

9 აპრილის წინ

დღეს ქართველები და საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები უნდა გავერთიანდეთ ქართული სახელმწიფოებრიობის დასაცავად და ხელი შევუწყოთ შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლას. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია კავკასიის გეოპოლიტიკური ინტერესების გაუთვალისწინებლად.

„მოფრენილო ჩემო ტაძარო; სიყვარული ჩემი სიწმინდეა და სამყარო მშვენიერ ჩემო" – როდესაც ვიხსენებთ ჩვენი დიდი წინაპრების ბრძნულ სიტყვებს, გული გვევსება სურვილით, დავთესოთ ხალხთა შორის სიკეთე და მეგობრობა. იმ ხალხთა შორის, რომლებიც აკავშირებთ მრავალსაუკუნოვანი ერთობლივი თანაცხოვრება და კულტურის საერთო ფესვები, სულიერი მემკვიდრეობა და რწმენის ერთიანობა. არასოდეს, არანაირ პირობებში არ შეიძლება, ადამიანმა გაწყვიტოს კავშირი თავის სამშობლოსთან და ხალხთან. შეიძლება ძალიან ბევრი იფიქრო გლობალურ პრობლემებზე, აკეთო ბიზნესი და იყო დიდი ეკონომიკის ნაწილი, მაგრამ უნდა გახსოვდეს ის ხალხი, რომლის წიაღშიც დაიბადე, გაიზარდე, მიიღე განათლება, აღზრდა, აითვისე ვაჟკაცობის, ზნეობისა და სიკეთის პირველი გაკვეთილები, ეს უწმინდესია.

როდესაც ფურცლავ ჩემი სამშობლოს ისტორიას და განსაკუთრებული ინტერესით სწავლობ ქართველი და ოსი ხალხის ერთობლივად განვლილ გზას, გაკვირვებს დღევანდელი რეალობა და არ გინდა დაიჯერო, რომ ვიღაცას შეეძლო ასე შეებღალა ამ ხალხების თანაცხოვრების დიადი ისტორია. მაგრამ იმის შემდეგ, რაც კაენმა გაუკეთა აბელს, გულისტკივილითა და სულში უსიამოვნო ნალექით ღებულობ მომხდარს და იწყებ ფიქრს, როგორ მოიშუშო ჭრილობები, როგორ აღადგინო დაკარგული რწმენა ხალხებს შორის და როგორ გახდე ხიდი იმ უფსკრულზე, რომელიც შექმნა საქართველოს დღევანდელმა მმართველმა რეჟიმმა, რომელიც დაფუძნებულია დიქტატურაზე და საკუთარი ხალხის დაშინებაზე. ნუთუ ამ ხალხს არ დარჩა არანაირი ადამიანური გრძნობა, ნუთუ მათ ასე დაებინდათ გონება, რომ აღარც ეძარდებათ საკუთარი ქვეყანა და იქ მცხოვრები ხალხი, რომელსაც, მიუხედავად განსხვავებული ეროვნებისა თუ რწმენისა, არ გააჩნია სხვა სამშობლო, საქართველოს გარდა.

ძალიან რთულია, მოუწოდო ხალხს, აღიმაღლონ ხმა იმის წინააღმდეგ, რაც დღეს საქართველოში ხდება. გაიგებენ კი, რომ მოწოდება „ყველა გავერთიანდეთ უსამართლობის, ძალადობის, ეროვნული სულისა და მენტალობის განადგურების წინააღმდეგ" – ეს არის მცდელობა შეიტანო შენი წვლილი იმ ქვეყნის გადარჩენაში, რომელსაც ესაჭიროება რეალური დამოუკიდებლობა, პირველ რიგში იმ რეჟიმისაგან, რომელიც არაადამიანურად ეპყრობა მას. მომავალი და სტაბილური ხვალინდელი დღე ჩვენს ქვეყანას ექნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აღარ იქნება განხეთქილების ვაშლი და გახდება ეკონომიკურად მიმზიდველი ყველასათვის. მაშინ გადაწყდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და იგი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს თავის გეოპოლიტიკურ მდებარეობას.

ვაჭრობისა და ჰუმანიტარული კავშირების სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობა ულტერნატივოა. ცნობილია, რომ ეკონომიკური კავშირების დამყარება ხალხთა შორის სანდო ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. არც თუ ისე შორეულ წარსულში, ზუსტად ეკონომიკურმა და სავაჭრო ურთიერთობებმა შეარბილა ეროვნებათშორისი კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის. ფოთი-ცხინვალი-ვლადიკავკაზის სატრანზიტო დერეფანმა ეკონომიკური ზრდის საშუალება მისცა მთელ რეგიონს კვების პროდუქტებით, ალკოჰოლითა და ყოველდღიური მოხმარების საგნებით ვაჭრობის საფუძველზე. იმავე ბაზარმა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების დათბობისა და ეროვნებათშორისი პრობლემების დალაგების კატალიზატორის როლი შეასრულა.

საქართველოს სურვილი, გაერთიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, უნდა იყოს დაბალანსებული რუსეთთან რეალური პოლიტიკის პრინციპებით. მხოლოდ ასე მიეცემა ქვეყანას საშუალება ააღორძინოს და ააყვავოს ეკონომიკა და განახორციელოს სატრანზიტო პროექტები ქვეყნის გავლით. ასეთი პროექტები შეიძლება იყოს ახალი გაზსადენები, ელექტროგადამცემი მაგისტრალური ხაზები, რკინიგზის აღდგენა. ხელისუფლება არ უნდა გაალიზიანოს ჩრდილო ოსეთიდან მომავალმა მშენებარე ელექტრომაგისტრალურმა ხაზებმა, გაზსადენებმა, პირიქით, მან უნდა გამოხატოს დაინტერესება ქვეყნის მძიმე ეკონომიკისთვის საჭირო იაფი ენერგომატარებლებისადმი.

ისტორია გვასწავლის, რომ ბევრი სახელმწიფო ლიდერი, დიდი ისტორიული პერსონა მარცხდებოდა, როდესაც წარმოქმნილ პრობლემებს წყვეტდა არა პრაგმატული მოსაზრებებით და საღი აზრით, არამედ პირადი ამბიციების გათვალისწინებით. სახელმწიფოთა ლიდერები ხშირად დგებიან ასეთი დილემის წინაშე, როდესაც პირადი, კერძო ინტერესები ეჯახება სახელმწიფო ინტერესებს. არასწორი არჩევანი ლიდერისთვის საშიშია, ქვეყნისთვის კი – დამღუპველი.



ზუსტად ასეთი რეალობის წინაშე დგას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ერთი მხრივ და ხალხი და ოპოზიცია მეორე მხრივ. ვფიქრობ, რომ გაჩუმება და პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკასთან შერიგება უზნეობა და უგუნურებაა, მით უმეტეს, რომ ხალხს აღარ ძალუძს, აიტანოს ტყუილი და შეურაცხყოფა ადამიანისგან, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლისას კორუფციასთან ბრძოლის პირობას დებდა – ამ დროს ქვეყანა იხრჩობა კორუფციაში, ჰპირდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას – დაკარგულია ტერიტორიების მეხუთედი, ეკონომიკის აღორძინებას – პარალიზებულია მთელი მრეწველობა, მოუწოდებდა ეროვნული შერიგებისაკენ – ქვეყნიდან გაძევებულია მოაზროვნე ხალხი ინტელექტუალური რესურსით. იგი ატყუებს ასობით ათას ძველ და ახალ დევნილს, რომლებიც მისი მიზეზით აღმოჩნდნენ იძულებით გადაადგილებულნი საკუთარ ქვეყანაში და ცხოვრობენ უკიდურეს გაჭირვებაში; ატყუებს საქართველოს მილიონობით მოქალაქეს გაბერილი ინვესტიციებითა და ზღაპრული მომავლით, მაშინ, როცა ქვეყანა იხრჩობა მილიარდიან ვალებში და რეჟიმის მიერ გაყიდულია ყველაფერი, წიაღისეულიდან, მიწა-წყლიდან დაწყებული, საბავშვო სპორტული მოედნებით დამთავრებული. ქვეყანა იმყოფება ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში. სააკაშვილი ატყუებს მთელ მსოფლიოს, მათ შორის თავის ამერიკელ მეგობრებსაც კი, თავისი ეგოისტური მისწრაფებების გამო. ატყუებს ქვეყნის რეალური მდგომარეობის შესახებ, ხალხის განწყობის შესახებ, ქვეყანაში ვითომდა არსებული დემოკრატიის შესახებ და ა.შ. მოწოდებაზე, მონახოს თავის თავში ძალა და გადადგეს, მან ხალხს უპასუხა მორიგი მზაკვრობითა და ღალატით, რათა გაიხანგრძლივოს თავისი მმართველობა. ასეთი რეჟიმისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფალნი მზად არიან, წავიდნენ ნებისმიერ პროვოკაციაზე სამხედრო ქმედებებით დაწყებული, მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევით დამთავრებული. ისინი გვაშინებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გარეშე მტრებით, მაშინ, როდესაც თვითონ არიან სამშობლოს უმთავრესი მტრები და მოღალატეები. ხალხისგან, რომელსაც ძალუძს მოიპაროს ამომრჩეველთა ხმები, გაძარცვოს მუზეუმები, დაბომბოს მძინარე ქალაქები, ყველაფერია მოსალოდნელი.

**მაგრამ მაინც, დებო და ძმებო, მოგიწოდებთ ყველას, დავდგეთ ერთად, გარწმუნებთ, რომ თუ რეჟიმი შეეხება ყველაზე წმინდას და აღმართავს ხელს საკუთარ ხალხზე, როგორც ეს გააკეთა 2007 წლის ნოემბერში, თქვენი მრავალეროვანი თანამემამულენი, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნებში, აღიმაღლებენ ხმას თქვენს დასაცავად.**

9 აპრილს სააკაშვილის რეჟიმს ელოდება მკაცრი გამოცდა. ძველინდური სიბრძნე ამბობს, რომ ადამიანი შეიგრძნობს სიცოცხლის ჭეშმარიტებასა და აზრს სიკვდილამდე ერთი საათით ადრე. მე იმედი მაქვს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შეიგრძნობს ამ სიბრძნეს, იპოვის თავის თავში ძალას და არ დაუშვებს მორიგ შეცდომას, რომელიც, ღმერთმა არ ქნას, რომ გადაიზარდოს მორიგ დაპირისპირებასა და ტრაგედიაში. როდესაც მუხლმოდრეკილი, სანთლით ხელში დგახარ საკათედრო ტაძრებში და აჩვენებ საკუთარ ქვეყანას და მთელ მსოფლიოს ღვთისადმი სიყვარულს, უნდა გახსოვდეს, რომ უზენაესი მოდის თითოეულ ჩვენგანამდე და გვაძლევს გადარჩენის შესაძლებლობას, მაგრამ იმისათვის, რომ ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით, საჭიროა, რომ ჩვენც მივიდეთ უზენაესთან. ქვეყანას და ხალხს შეუძლიათ მიუტევონ ადამიანს, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა, რომელიც გრძნობს მწუხარებასა და ტკივილს მომხდარზე, განიცდის ჩადენილ ტრაგიკულ შეცდომებს და ეძებს ქვეყნის კოლაფსიდან გამოსაყვან გზას. სამწუხაროდ, საქართველოში სიტუაცია გაცილებით უფრო აბსურდულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

# ჩვენ ერთად ვართ ძლიერნი

## არასწორი არჩევანი ლიდერისთვის საშიშია, ქვეყნისთვის კი - დამღუპველი

თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა, დავინახოთ და გადავწყვიტოთ ის რეალური პრობლემა, რომელიც ამ ეტაპზე დგას საქართველოს წინაშე, უნდა ვიყოთ ობიექტურნი და ვაღიაროთ სიმართლე – ის დრამატული მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში უკანასკნელ პერიოდში, არ არის დასასრული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ დაუფიქრებელმა მოქმედებებმა საბოლოოდ დაამსხვრიონ ქვეყნის მომავალი. დიდ იმედებს ვამყარებთ იმაზე, რომ მსოფლიო თანამეგობრობა ჩვენთან, ყველა ჩვენს მეზობელთან ერთად შეიმუშავებს ისეთ პოლიტიკურ კონფიგურაციას, რომელიც შექმნის საქართველოში ერთობლივი ცხოვრების წინაპირობას ქართველებისათვის, ოსებისა და აფხაზებისათვის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა სხვა ლიდერები, სხვა პერსონები, ქართული პოლიტიკის ახალი გმირები, რომლებიც შეაფასებენ ქვეყნის მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განვლილ გზას და გამოიტანენ ბრძნულ დასკვნას დაშვებული შეცდომებიდან. მჯერა, მოიძებნებიან ლიდერები, რომლებიც წაიყვანენ ხალხს სწორი გზით.

ასეთ ფონზე ვითარდება დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური მოვლენები. ხალხის მონაწილეობით და ქართული ოპოზიციის კონსოლიდაციით, კონსტიტუციურად უნდა შეიცვალოს დღევანდელი ანტიქართული რეჟიმი, აირჩეს ახალი პრეზიდენტი და პარლამენტი, ჩამოყალიბდეს საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ჭეშმარიტად პროქართული მთავრობა, რომელსაც შეეძლება დაამყაროს შესაბამისი კონტაქტები და შექმნას მექანიზმები ტერიტორიული მთლიანობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

სახელისუფლო სტრუქტურების ყველა წარმომადგენელს, ქვეყნის ყველა ღირსეულ შვილს, ძალოვანი სამინისტროებისა და უწყებების ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს მოვუწოდებ, ერთი წუთით მაინც დაფიქრდნენ და საღად გაიაზრონ, რაში შეიძლება ჩაითრიოს სააკაშვილმა ქვეყანა თავისი უაზრო, არაადეკვატური ქცევით, თავისივე ხალხის საწინააღმდეგოდ გაცემული უგუნური ბრძანებებით. შეგახსენებთ, რომ ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც სამშობლოსათვის უძგერს გული. ღირსეული ადამიანი იბადება თავის სამშობლოსთვის, რათა ემსახუროს თავის მამულსა და ხალხს. ქვეყნისთვის მძიმე წუთებში ღირსეული მეომრები ყოველთვის იდგნენ ხალხთან ერთად და მე მჯერა, რომ ამჯერადაც ასე იქნება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი ხალხი დაიღალა ხელისუფლების უკანონობით, გამოუვალი მდგომარეობით და უკეთესი ცხოვრების მუდმივი მოლოდინით. დღეს ამას დაემატა ქვეყნის დაშლისა და ეროვნული კატასტროფის საშიშროება. ამიტომ ხალხი ოპოზიციისაგან ელოდება არა რეჟიმთან ბრძოლის იმიტაციას, როგორც ეს იყო ადრე, არამედ მკვეთრ საპროტესტო ქმედებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კანონიერ საფუძველზე ხალხის ნების რეალიზებას და შეცვლიან საქართველოს ხელისუფლებას, რის შედეგადაც აშენდება დემოკრატიული, ეკონომიკურად და სოციალურად განვითარებული და ყველა მეზობელი ქვეყნის მიმართ მეგობრული პოლიტიკის მქონე სახელმწიფო.

მოვუწოდებ ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი გაერთიანების ლიდერს, დროებით მაინც დაივიწყონ წყენა, გვერდზე გადადონ პირადი პოლიტიკური ამბიციები და დადგნენ ერთად, გვერდიგვერდ, საერთო იდეისა და საერთო გამარჯვებისთვის, არსებობის, ღირსების უფლებისთვის, ჩვენი შვილების ხვალინდელი დღისთვის, ჩვენი საერთო სახლისა და ჩვენი სამშობლოსთვის. გარწმუნებთ, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა და იდეური მრწამსისა, მომავალი ლიდერის ბედს წყვეტს ელექტორატის ნდობა.

მოვუწოდებ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელს, ჩემს დებსა და ძმებს, ჩვენ ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთმანეთის მხარდაჭერა. თუ სააკაშვილი დაინახავს კონსოლიდირებულ ერს და ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფას, იმედი მაქვს, იგი ვერ გაბედავს მის იგნორირებას. ჩვენ, როგორც არასოდეს, ისე ვჭირდებით ურთიერთს, რომ, ერთხელ და სამუდამოდ, როგორც საკუთარი ქვეყნის ღირსეულმა და ერთგულმა მოქალაქეებმა, მოვიხადოთ ვალი საზოგადოების გაჯანსაღებისთვის, გადავლახოთ ყოველგვარი შიში და წინ აღვუდგეთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საშიშროებას. გარწმუნებთ, არავის აქვს უფლება, ხელყოს ჩვენი თავისუფლება. გააკეთეთ თქვენი არჩევანი დღევანდელ დამღუპველ რეალობასა და ჩვენი საქართველოს მომავალს შორის.

და ბოლოს, მე მაინც მინდა დავუბრუნდე და შევეხო რუსეთისათვის საქართველოს და მთლიანად კავკასიის მნიშვნელობის მტკივნეულ თემას. კავკასია – ეს არის განსხვავებული კულტურის მქონე ხალხების უნიკალური სინთეზი, რომელთაც აქვთ მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთზემოქმედების, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გამოცდილება. რუსეთისთვის ყველაზე სუსტი წერტილი კავკასიაა. გარდატეხვამ ააფორიაქა ეს რეგიონი და ნებისმიერ დროს მოსალოდნელია მისი ჩამოშლა იმ მაღალი წერტილიდან, რომელზეც გადაჯაჭვულია ხალხების, ქვეყნებისა და რელიგიების ინტერესები.

დღეს უამრავი თანამედროვე არგონავტი ცდილობს კავკასიური ოქროს საწმისის მოპოვებას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რა ძვირად დაუჯდათ ეს ძველ არგონავტებს. საქართველო უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთის დემოკრატიული აღმავლობით, რუსეთი კი, გამომდინარე თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, უნდა იყოს დაინტერესებული რეგიონში მშვიდობითა და საიმედოობით. რუსეთის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს კავკასიელ მეზობლებთან დემოკრატიული, მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა. ჩვენს მეზობელს ხელს აძლევს მშვიდობიანი საქართველო. ჩვენი ქვეყანა, მასში მცხოვრები ყველა ხალხით, უნდა იყოს კეთილი მეზობელი ყველასათვის და კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის ერთგვარი პოლიტიკური გარანტი. არ უნდა დავარღვიოთ საუკუნოვანი ურთიერთობები, რომლებიც გამაგრებულია სულიერი კულტურითა და ზნეობით. ჩვენ სამუდამოდ ვიქნებით მეზობლები და ჩვენი ერთობლივი თანაარსებობა გარდუვალია.

ღმერთმა დაიფაროს ყველა ხალხები და მისცეს ჩვენს მმართველებს სიბრძნე აღმავლობისთვის, მშვიდობისა და მეგობრობისთვის.

დაე, ღმერთმა ყოველთვის შეგვახსენოს, რომ ჩვენ ერთად ვართ ძლიერნი.

**გოჩა ძასოხოვი,**
საქართველოს ხალხთა ასამბლეის ორგკომიტეტის თავმჯდომარე

caucasia-experts

◉ ხედვა ოკეანის გაღმიდან

# აკაკი წერეთლის „სპექტაკლის საზოგადოება“



**არ ვიცი რატომ, მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესებმა ორი ერთმანეთისგან დროით, ჟანრითა და კონცეფციით განსხვავებული ტექსტი გამახსენა. ერთი — ჩვენებურის, აკაკი წერეთლის „კუდაბზიკეთი“ და მეორე უცხოელის — გი ერნესტ დებორის „სპექტაკლის საზოგადოება“. ჰო, კიდევ ერთი შემთხვევაც. როცა გაზეთი „იბერია-სპექტრი“ გამოდიოდა, მისი რედაქტორი ირაკლი გოცირიძე და მე, შტატგარეშე კორესპონდენტი, ე. შევარდნაძის ორშაბათის „ტრადიციული გულახდილობის“ რამდენიმე ბრიფინგს დავესწარით. ჩემდა გასახარად, ეს „იძულებითი სიამოვნება“ დიდხანს არ გაგრძელდა და გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღეს შეწყდა კიდეც.**

ერთ მშვენიერ საკანცელარიო ორშაბათს კოლეგებით სავსე დარბაზში ირაკლი გოცირიძემ საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხა, რადიო „თავისუფლებაში“ ინფორმაცია თქვენი და გერმანიის კანცლერის საერთო ბიზნესს და კიდევ სხვა ინტერესების შესახებ გავიდაო, ჰოდა, რას იტყვით ამასთან დაკავშირებითო? მაგრამ კითხვის ადრესატს, აბა, ვინ აცალა პასუხის ბოლომდე გაცემა? უცებ, კოლეგა ჟურნალისტები ფრიად სოლიდარულნი გახდნენ, შევარდნაძის თავგამოდებულ ადვოკატებად გადაიქცნენ, აყვირდნენ და „უტაქტო კაცის თავხედურ კითხვას“ სიტყვითა და სხეულის ენით ნიჭის შესაბამისი ფრაზებით გმობდნენ. მათ შორის ისინიც, ვინც ახლა არხიდან არხზე „სიმართლისათვის“ დევნილობისთვის მოგზაურობს. ყველა ყვიროდა, თავს გადააქან-გადმოაქანებდა, მხრებს იჩეჩდა და ერთმანეთსა და ქვეყნის პირველ პირს თავის დაუოკებელ აღშფოთებას „უდემონსტრირებდა“. ირაკლი გოცირიძემ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა, მე კი გასვლისას ჩამილაპარაკა - დარჩი, არ გამოხვიდეო. დარბაზში კიდევ დიდხანს იდგა როხროხი და ყაყანი. მახსოვს ის მტკივნეული და ოდნავ ნაცნობი, საიდანღაც წამოსულ-მიძინებული განცდაც, რომელიც, ალბათ, ჩემს ცხოვრებაში მეორედ დამეუფლა. ჩემ უკან, გვერდით თუ წინ მსხდომნი ვერ წყნარდებოდნენ, ოთახიდან გასულს კაცობას და ზრდილობას უძაგებდნენ, რედაქტორის თავხედობას დაუღალავად გმობდნენ და არ ილლებოდნენ. თავხედობის არსი კი კითხვის შინაარსში იყო. გოცირიძე იმ „უვიც მართლმადიდებელს“ დაემსგავსა, ზოგიერთი კისერზე ჯვარჩამოკიდებული „უადგილო“ კითხვის დასმის გამო მკრეხელთა რიგში რომ გაგამწესებს, თანაც ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, სიტყვიერი ლინჩის წესით... მერე ისევ შევარდნაძემ დაამშვიდა მეოთხე ხელისუფლება და დიალოგი კვლავ დაუბრუნდა თავის განმანათლებელ — საინფორმაციო ფუნქციას. ბრიფინგის დასასრულ დარბაზიდან ყველა გამოვიდა (ბ-ნი ირაკლი კარებს იქით მელოდებოდა) და ჩვენ 7-8 ჟურნალისტთან ერთად ლიფტით ქვევით დავეშვით. ჰოდა, ყველაზე საინტერესო სწორედ მოძრავ მანქანასა და კანცელარიის გარეთ ხდებოდა. ისინი, ვინც მას ზუსტად 1 წამის წინათ ზრდილობას უწუნებდნენ, ახლა მისი თანდასწრებით სხვა ჟურნალისტების ქცევას გმობდნენ და გერმანიისა და საქართველოს პირველ პირებს შორის „ფარული“ კავშირის შესახებ ვარაუდების სახით ცხოველ ინტერესს გამოხატავდნენ. ეს ჩემთვის არც ისეთი შოკისმომგვრელი იყო, როგორც ადრე, 1991 წელს „არამიანცის“ მორგში ნანახი სცენები, მაგრამ მაინც. ასეთი Live სპექტაკლებით დიდად განებივრებული არ გახლდით. ირაკლი გოცირიძეს კი არაფერი გაკვირვებია. „ეს ხალხი ასე ცხოვრობსო“, მითხრა... მაშინ იულია კრისტევას ფემინისტური ტექსტი „საშინელებათა ძალები — ესსე ზიზღზე“ წაკითხული რომ მქონდა, ალბათ, აუცილებლად გამახსენდებოდა. განსაკუთრებით კი, მისი პირველი თავი — სახელწოდებით „არც სუბიექტი, არც ობიექტი“...

მე და ჩემს მეგობრებს, 1991 წლის დეკემბერი ცხადზე ცხადად გვახსოვს. მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით. დეკემბერში სამედიცინო კრიმინოლოგიას გავდიოდით. მორგში „პრაქტიკები“ გვქონდა. ცინიკური და სასტიკი დამთხვევა... მაინცდამაინც ჩვენი ლექცია-პრაქტიკუმის დროს, იმ შავ დღეს „არამიანცის“ საავადმყოფოში რუსთაველიდან გვამების მოტანა, პროზექტურებსა და კორიდორებში დაყრა დაიწყეს... „ზვიადისტების“, „მხედრიონელების“, „გვარდიელების“, „უბრალო მოქალაქეების“, პრო და ანტიპუტჩისტების უსულო სხეულები ერთმანეთზე ეყარა. არ ვიცი სწორედ როგორ უნდა ვთქვა, „ეყარა, „ელაგა“, „იწვა“, „იდო“ „ეგდო“ თუ მრავლობითი რიცხვი გამოვიყენო... მაშინ, იმ პროზექტურულ ბრიფინგზე „ვინ“ და „რა ჯგუფი“ რთულად გასარკვევი იყო... გვამები ხელით, თავის ქალით, შიშველი ტერფით, მთელი სხეულით ისე ეხებოდნენ ერთმანეთს, თითქოს პატიებას სთხოვდნენ ერთურთს, ამჯერად არა სიტყვით, არამედ სხეულის ენით. გასაყოფი უკვე აღარაფერი ჰქონდათ. მახსოვს, სამი სხეული ისე იყო ერთმანეთზე „გადადებული“, თავიდან ვერ მიხვდებოდი, ვისია თავი და სადაა ამ თავის კისერი... მორგში კი, ჩვენ, სტუდენტები ქვის ფიგურებივით ვიდექით, ლექტორი სადღაც გავარდა, ვიდექით ერთ ჯგუფად, გაქვავებულები, ერთმანეთს მიკრულები, თეთრ „გაკრახმალებულ“ ხალათებში, ცხვირ-პირზე დოლბანდაფარებულები, გაშტერებული, შუბლზე ასეული თვალებით, გახევებული ენით, გაჩერებული გულებითა და გათიშული ტვინით. სცენა რომელიმე პოსტმოდერნისტული, ფუტურისტულ-სურელისტური თუ კიდევ რაღაც „ისტური“ პერიოდის ინსტალაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე მხოლოდ პოსტსაბჭოურისას. მახსოვს, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს წონა დავკარგე და აღარაფრის მეშინოდა. ეს იყო ჯოჯოხეთი, გადმონაცვლებული პლანეტა დედამიწაზე. ვიღაცეები კორიდორში მიდი-მოდიოდნენ, კაცები — რბილად, ქალები — ქუსლების კაკუნით (მორგში უცნაური აკუსტიკა იდგა), მოშვებული ონკანის წყალი შხუოდა და ძველ, ამომტვრეულ კაფელზე სველ კვალს ტოვებდა, კარები ჭრიჭინით ილებოდა და მერე არაადამიანური ხმაურით მიეჯახუნებოდა, ვიღაც გარეთ მანქანას ქოქავდა, იგინებოდა, იწყევლებოდა, ვიღაც „ბიჭო, ბიჭოს!“ ყვიროდა, მერე ქალის კივილიც მოგვესმა. ასე დამამახსოვრდა მაშინდელი ქართული ენის გენდერული დიალექტი: კაცების — „შენი დედა..!“, მოგვიანებით — „ჩემი დედა...!“ ქალების — „მოგიკვდეს დედა..!“ თბილისი თავისი მორგებითა და რუსთაველის „ახალი დიზაინით“ გოიას „კაპრიჩიოს“ ემსგავსებოდა. მკვდრები კი... მკვდრები მხოლოდ მკვდრებს ჰგვანდნენ — დოკუმენტური სპექტაკლის უსულო სტატისტებს. ქალაქი კი ისევე, როგორც უკათარზისო გონებაგული, მკვდარი იყო, „არც სუბიექტი, არც ობიექტი“...

* * *

„იყო და არა იყო რა. იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძნობაზე უფრო შიშის გრძნობა ჰქონდა გამოფხიზლებული და ყოველგვარ საშიშ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოფილიყოს და გინდ უსულო, ყოვლის შემძლედ ისახავდა, აღმერთებდა და თაყვანს სცემდა. მრავალღმერთობის დრო იყო და ყოველ ერს თავისი შესაფერი ღმერთი ჰყავდა: ზოგს ლომი, ზოგს სპილო, ზოგს გველეშაპი, ზოგს დიდი გველი და სხვანი. ერთი სიტყვით, ვისთვისაც რა უფრო საშიში და საფრთხილო იყო, იმას ემონებოდნენ. სხვათა შორის, იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბზიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექიობის მეტს ველარას ახერხებდნენ: უჯდნენ კერას და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ. მათთვის რაღა საჭირო იყო ლომი, ვეშაპი, რომ მათი მაწუხებელი ჭიაღუაც დიდი რამე ეგონათ. და მოინდომეს მკბენარის თაყვანისცემა, მაგრამ არ იცოდნენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისთვის თუ რწყილისთვის? ზოგს ის მოსწონდა, ზოგს ეს! .. არჩევანზე მივიდა საქმე. კუდაბზიკელები ორად გაიყვნენ: ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მეორემ — რწყილი. ვერ შეთანხმდნენ, მოუვიდათ ჩხუბი და ნაცარმტუტი აადინეს. დაერივნენ ერთმანეთს და აღარ ზოგავდნენ. ამ საბრალოებს სულ კერას ძირში ეძინათ, არაფერს დასდევდნენ, არა აინტერესებდათ რა, და მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს გამოაჭყეტდნენ თვალებს ბეცად, ახორხოზდებოდნენ, აჭიჭყინდებოდნენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდნენ თვალებში და არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, ისევ ისე ჩვეულებრივად მიეგდებოდნენ კერას ძირას . . ცარიელი გუდა ადვილი გასაბერია!... კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბზიკების ქვეყანაშიც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა, თავისაში დვირესაც ველარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად იყო გადაქცეული: ტიტინობდნენ და ლაქლაქობდნენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მაგალითად, „შარშან ზამთარში კურდღელი მოთოვაო“. მეორე დაუმოწმებდა: „მართალიაო! და შიგადაშიგ შველიც გამოურიაო“. ყველა ტრაბახობდა, ყველა თავის თავზე ლაპარაკობდა, გაისმოდა განუწყვეტელი „მე, მე და მეო!“ ასე რომ ბრმას ყური დაეგდო, იფიქრებდა: აქ სწორედ სადღაც თხის ჯოგიაო. მართალია, თითო-ოროლა შეგნებული და ქვეყნისთვის გულშემატკივარი მათშიც ერია, მაგრამ იმ არევ-დარევაში და საერთო ხორხოზში ვინღა რას გაიგონებდა, რომ ყურთასმენა აღარსად იყო...“ ასე აღწერდა აკაკი მითოლოგიურ კუდაბზიკეთს. ნეტავი, სწორედ ამ ერთი-ოროლაზე ხომ არ თქვა ილიამ „მაგრამ, ამ კარგსაც ქვეყანა ხანდახან ფეხზე ჰკიდიაო“. ვაითუ?...

კუდაბზიკეთს თავი რომ დავანებოთ, შევხედოთ იმას, რაც ერთი შეხედვით — არამითიურია. ერთიან საქართველოს, სამშობლოს, სახელმწიფოს, გეოგრაფიულ და არაგეოგრაფიულ საზღვრებს. რომელია აქედან მითი? საქართველო თავადაა მითების ქვეყანა (ამაში სხვასაც არ ჩამორჩება) და ამ მითების სპექტაკლებში იგი სულ უფრო და უფრო ემსგავსება, ერთი დასავლელი ჭკვიანი კაცის ფრაზის არ იყოს, იმას, ვისი „წარსულიც ჯერ არ დამდგარა, ხოლო მომავალმა უკვე ჩაიარა“... მითი არჩევნების ყოვლისშემძლეობაზე და „კარგი“ ელექტორატის სასწაულმოქმედებაზე, მითი პოზიციის თუ ოპოზიციის „სიჭკვიანე-პატიოსნებაზე“, მითი დემოკრატიის და ისტორიის აბსოლუტურ სამართლიანობაზე, თანასწორობაზე, მითი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; დასავლეთსა და აღმოსავლეთზე; მითი მონანიებაზე,

იხ. 6 გვ.

◉ აი, ამათი სამართალი!

# გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის?!

## როგორ წაართვა გიგი უგულავამ „ურჩ“ ჟურნალისტს ბინა მეორედ

***თბილისელებს, ალბათ, კარგად ახსოვთ ორი წლის წინათ დედაქალაქში ატეხილი აურზაური მოქალაქეთათვის უსაფუძვლოდ ჩამორთმეული 64 მშენებარე ბინის თაობაზე. ბინაჩამორთმეულთა შორის მეც გახლდით — დიდუბეში, ქუთაისისა და აგლაძის ქუჩის კუთხეში, თოთხმეტსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე, 48 წლის განმავლობაში ჟურნალისტიკაში გაწეული მუშაობისთვის, 60 წელს გადაცილებულმა მივიღე ერთოთახიანი ბინა და ისიც სადავიდარაბო გახდა. ბინები 2002 წელს, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დასტურით გაანაწილეს და ორდერებიც დაგვირიგეს, მაგრამ... ჯერ მშენებლობა გაჭიანურდა, მერე ქვეყანაში ხელისუფლებაც შეიცვალა და ჩვენი ბინების მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული.***

ჩემ გარდა ბინაწართმეულები (ოღონდ სხვადასხვა სახლშიძ დარჩნენ საქართველოში ცნობილი და ღვაწლმოსილი ადამიანები, ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე, ზაზა კოლელიშვილი, ბუხუტი გურგენიძე, ჯუმბერ ლეჟავა, ჯემალ სეფიაშვილი, რამაზ იოსელიანი, რობერტ შავლაყაძე, გივი კარტოზია, ნინელი ჭანკვეტაძე, ხათუნა იოსელიანი, ადა მარშანია...

აი, ასეთ ადამიანებს წაართვა ბინები გიგი უგულავამ ქალაქის მერიის 2006 წლის ოქტომბრის დადგენილებით.

### მაგრამ

ვიმარჯვეთ ბინაკადარგულებმა, წინ აღვუდექით გათავხედებულ ახალ ხელისუფლებას. ევროპაშიც ვაფრინეთ ინფორმაციები და ვთხოვეთ, დაგვხმარებოდნენ, დახმარებაც მივიღეთ და 2007 წლის მარტში „უფალმა“ უგულავამ ინება და თავად გააუქმა საკუთარი დადგენილება, და თანაც წერილობით გვთხოვა დავა არ გაგვეგრძელებინა.

ასე და ამრიგად, ბინები დაგვიბრუნეს.

### მაგრამ

სანამ ეს მოხდებოდა, ამ თემაზე თითქმის ყოველდღე ტელეეკრანზე ხან უგულავა და ხან კი მისი მოადგილე ვინმე ახვლედიანი გამოდიოდნენ და გვიმტკიცებდნენ რომ ბინები სწორადაა ჩამორთმეული. მაყურებლისთვის განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, რომ ისინი ხშირად იხსენიებდნენ ერთადერთ ჟურნალისტს კლარა აბრამიას და სვამდნენ „რიტორიკულ“ კითხვას. — აბა, „რატომ უნდა ვაჩუქოთ ბინა კლარა აბრამიასო“!..

როცა უგულავა სხვადასხვა ბრუნვაში მოიხსენიებდა ეკრანზე ჩემს სახელსა და გვარს, არც მე გახლდით გულხელდაკრეფილი: პოპულარულ გაზეთებში „ასავალ-დასავალსა“ და „ქრონიკაში“ ვაქვეყნებდი მის მამხილებელ სტატიებს. სწორედ ჩემმა მწვავე გამოსვლებმა აიყოლია ქართული მედია: უგულავას კრიტიკას იქამდე ტაბუ რომ ჰქონდა დადებული, იგი მოეხსნა. მე დღესაც ვაგროვებ თბილისის მერის მაკომპრომეტირებელ მასალებს. კიდევ მაქვს არაერთი სენსაციური ფაქტი, ეს ალბათ გაიგო უგულავამ და ამიტომაც დამიწყო „ჩხიკინი“ — დაბრუნებული ბინის ხელახლა წართმევა.

### პატარა შესავალი ამასთან დაკავშირებით

როცა სასამართლოდან, ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლე ნანა დარასელიასგან მივიღე დოკუმენტი კლარა აბრამიასთვის თბილისში, ქუთაისისა და აგლაძის ქუჩების კუთხეში მშენებარე საცხოვრებელ კორპუსში მე-12 სართულზე №57 ბინის გამოყოფის თაობაზე 2002 წლის 18 ოქტომბრის №1407305 დადგენილების ძალაში დარჩენის

იხ. 6 გვ.

ხედვა ოკეანის გაღმიდან

# აკაკი წერეთლის „სპექტაკლის საზოგადოება“

(მეხუთე გვერდიდან)

ინტელიგენციაზე და მედიაზე, მითი რელიგიებსა და ეთნოსებზე; მითი „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“-ზე; მითი ამქვეყნიურზე და იმქვეყნიურზე; ევროპასა და რევოლუციების ტალღებსა და შხეფებზე; ქალის კულტზე, მშველელზე, საბაზრო ეკონომიკაზე და ხალხის შეუცდომლობაზე.

ყოველ დროს თავისი ბრენდი აქვს: დღევანდელი კონიუნქტურა ამერიკული მითით აპელირებას მოითხოვს. აი, თუნდაც პატარა „წვრილმანი“. ბევრმა, ვინც ჰოლივუდის არაპოლიტიკურობას ამტკიცებს და საკუთარი „ცნობადი სახეების“ ადამფოთებს, არ იცის, რომ ბარბარა სტრეიზენდი, ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი, რიჩარდ დრეიფუსი, სტივენ სპილბერგი, ჯორჯ კლუნი, დუგლასების დინასტია დემოკრატიული პარტიის გულშემატკივრები არიან და არც მალავენ ამას, კაპიტოლუმსაც სტუმრობენ ხოლმე. ხან მედიის თანდასწრებით, ხანაც – უმისოდ. სტივი უონდერი სპეციალურად [illegible] ობამასა და მისი ცოლისთვის და შერჩეული ელიტარული ვიწრო წრისთვის იმღერა. ამიტომაც, როცა მსახიობმა დათო [illegible] და გაეროში საქართველოს მუდმივმა ელჩმა ირაკლი ალასანიამ 2008 წლის აგვისტოში ამერიკელ მსახიობებს მხარდაჭერისთვის მიმართეს, ოფიციალური გამოხმაურება წერილს არ მოჰყოლია. იმის მიზეზი სასაცილომდე ტრივიალური იყო. მაკქეინმა საქართველოს უფრო მკაფიო მხარდაჭერა გამოუხატა, ვიდრე ობამამ. ამიტომ დემოკრატმა მსახიობებმა ჩათვალეს, რომ პატარა შორეული ქვეყნის მიმართ მათი პარტიის ლიდერის გამონათქვამთან შედარებით უფრო აქტიური პოზიცია ობამას პაპაზე ნაკლებ კათოლოკედ წარმოაჩენდა და ამიტომაც თავი შეიკავეს. ამას აქაურ ენაზე პოლიტკორექტულობა ჰქვია, ქართულად სახელწოდების მოძებნა თქვენთვის მიმინდვია.

ანდა მითი ამერიკულ მედიაზე. წინასაარჩევნო პერიოდში ამერიკაში ასეთი რამ მოხდა: „ნიუ-იორკ თაიმსმა“ საპრეზიდენტო კანდიდატ ჯონ მაკქეინს სტატია არ დაუბეჭდა. ცნობილია, რომ ტელეარხი CNN პრობამისტურია, ხოლო FOX – პრორესპუბლიკური. ა.წ. თებერვალში გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ შავი მაიმუნის კარიკატურა პირველ გვერდზე გამოიტანა. ატყდა დიდი ხმაური, საპროტესტო აქციები და ბუყბუყი. აქაოდა ეს რასიზმი არისო. მაიმუნი შავი არ არისო და ეს ქარაგმა რასისტულიაო. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ რამდენიმე დღით ადრე პოლიციელმა აგრესიული შიმპანზე, რომელმაც ქალი ლამის შეჭამა, მართლაც მოკლა. ამ დროს კი დაემთხვა ობამას მიერ აშშ-ის ეკონომიკაში მორიგი ურიცხვი მილიარდების ნაკადის გადასროლა, რომელიც, როგორც ჩანს, ეკონომიკას ვერა და ვერ აცოცხლებს და ამიტომაც უკმაყოფილოთა რიცხვს ზრდის. თუმცა არავის გაუპროტესტებია, როცა ერთ-ერთი პოპულარული გადაცემის დემოკრატმა წამყვანმა უმცროსი ბუშის სახე, უკაცრავად და, დუნდულა კუნთებს შეადარა... მითები უამრავია: მაგალითად, მითი ამერიკის ყოვლისშემძლეობაზე; მითი მისი სამედიცინო სისტემის სრულყოფილებაზე. ამერიკაში ლამის 50 მლნ. ადამიანს სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი თავის სიცოცხლეს ბეწვზე ჰკიდებს. ცნობილია ისიც, რომ ამჟამად ყოველი ამერიკელი 50-ე ბავშვი უსახლკაროა: ცხოვრობს ან თავშესაფარში, ან კეთილ ახლობლებთან ან სატვირთო მანქანებში. „დიახ, ჩვენ შეგვიძლია!“ ეს ლოზუნგი ობამას მიერაა დაპატენტებული, მაგრამ იმ პირობებში, როცა უმუშევრობამ ამერიკაში 8,5 % მიაღწია, ეკონომიკა ნელ-ნელა სოციალისტურს ემსგავსება, საკადრო პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლშია, დეიდამისს – არალეგალ ემიგრანტს დეპორტაცია ემუქრება, ხოლო ბარაკის მოძღვარის ამერიკისმოძულე გამონათქვამებს ასე ადვილად ვერ ივიწყებენ, საგარეო პოლიტიკა მიამიტურია, რუსეთთან უცნაური „გადატვირთვის“ მოლოდინის რეფრენით, ზემოხსენებული „შეგვიძლია, შეგვიძლია!“ სულ უფრო და უფრო ემსგავსება ვიაგრამიღებულის შეძახილს. ობამას მმართველობის ორი თვის თავზე მისი რეიტინგი 50%-იან ნიშნულამდე დაეცა (ავტორიტეტული ჯონ ზოგბის გამოკვლევაძ, გამოჩნდნენ მის ევრომოგზაურობაში 500-კაციანი ამალის სიდიდისა და ხარჯების კრიტიკოსებიც. უკვე აქა-იქ უკვე საუბრობენ 2013 წლის რესპუბლიკელთა კანდიდატურებზე... ამერიკა არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს და არა ბასტილიის აგებიდან ბასტილიის დამხობამდე.

საქართველო კი სხვა ინტერესების ქვეყანაა. ჩვენთან ომს პროვოკაციას უწოდებენ, პოზიციიდან ოპოზიციაში ახლახანს გადასულებს ჩუმ დისიდენტებს, ყველაზე რეზონანსული მკვლელების თანამონაწილე შსსელებს – საპატიებელ-შესაწყალებლებს. ამას წინათ თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებნი დაამშვიდეს და სამშობლოსა და დასაქმების პროგრამაზე ფიქრისკენ მოუწოდეს: იქ სასტუმრო აშენდებაო და „ხომ უკვალოდ არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთებაო“, ანუგეშეს ისინი. მე კიდევ ისევ მითების ტყვეობაში ვარ და მეგონა, რომ ის დრო უკანმოუხედავად წავიდა, როცა ადამიანის უფლებები კომუნიზმის ნათელ მომავალზე ზრუნვისას და მით უმეტეს ჩვენ რეალობაზე გადმოთარგმნილ – ფეშენებელური სასტუმროს აგებისას არ გახდებოდა, ვაჭრობის საგანი. მით უმეტეს გაერო თავის წევრ საქართველოს „შეახსენებს“ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის XII მუხლს, რომელიც ნებისმიერი ადამიანის საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას იცავს (თუნდაც ბინა ხის იყოს, ხოლო სასტუმროს აგურები და ბლოკები ოქრო-ბრილიანტისძ და არანაირ დათქმას არ დაუშვებს. თუმცა გაეროც, ეუთოც და მისი თანმდევი მუხლებიც ხომ მითებია.

მითი მოძრაობა „კმარაზე“, ნატოზე და ევროპულ სტანდარტებზე, შპენგლერის „ევროპის დაისის“ მცოდნე დასავლელებზე. ევროპაზე, სადაც არამითიური ენერგომატარებლების გამო თხასავით გაგყიდიან, ქართული სტუმართმოყვარეობისთვის, მრავალხმიანი სიმღერებისთვის მადლობას გადაგიხდიან და ფსიქოდრამის თუ სპექტაკლის „გეშტალდთერაპისთვის“ ანუ სისრულისთვის ჩრდილოეთელ მეზობელს, ყოველი შემთხვევისთვის, თითს დაუქნევენ „მეტჯერ არ ქნათ, როგორ არ გრცხვენიათ, პატარას როგორ აწყენიეთო“....

დასასრულ, კიდევ ერთი მითი გამახსენდა. მითი და სპექტაკლი ლობის შესახებ. „ვარდების რევოლუციის“ დამაგვირგვინებელი აკორდი შევარდნაძის დროს ინგოროყვას ქუჩაზე კანცელარიის გარშემო შემორაგული რკინის ლობე იყო. ეს ბედკრული ლობე სევდიანი მოთხრობაა იმის შესახებ, თუ როგორ ააშენა იგი შევარდნაძის მთავრობამ, მერე ბერლინის კედლის დანგრევით შთაგონებულმა, 6 წლის წინათ მოსულმა ხელისუფლებამ მოანგრია და როგორ აღიმართა იმავე ალაგს უხილავი, მაგრამ უფრო მაღალი. ას რომ: იყო და არა იყო, რა. იყო ერთი ლობე...

ჰოდა, რახან სპექტაკლი გაგვახსენდა აქ მის დამდგმელ საზოგდოებაზეც უნდა ვთქვათ: აი, რას წერდა დი დებორგი: „სპექტაკლი ეს არის არა ხატების ერთობლიობა, არამედ ადამიანებს შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთმიმართებები, რომელიც ხატებითაა გამოვლენილი. თავისი სისავსით სპექტაკლი ერთდროულად არის შედეგიც და არსებული წარმოების ხერხის შინაარსიც. იგი არ არის რაღაც დანამატი რეალურ სამყაროზე, მისი ზედნაშენი ან დეკორაცია. ეს არის რეალური საზოგადოების არარეალურობის ქვაკუთხედი. ყველა თავის გამოვლინებაში სპექტაკლი არის საზოგადოებრივი ცხოვრების გაბატონებული წესის მოდელი, იქნება ეს საინფორმაციო თუ პროპაგანდა, რეკლამა თუ გასართობის უშუალოდ მოხმარება. სპექტაკლი – ეს არჩევანის საყოველთაო დამკვიდრება... სპექტაკლის ფორმა და შინაარსი არსებული სისტემის პირობებისა და მიზნების სრული გამართლებაა. სპექტაკლი ერის მზე, რომელიც არასოდეს ჩადის თანამედროვე პასიურობის იმპერიის თავზე. იგი სამყაროს მთელს ზედაპირს ანათებს და უდარდელად ბანაობს თავის დიდებაში“...



სად მთავრდება მითი და იწყება სპექტაკლი, ან პირიქით და თანაც ქართული, ვერ გაიგებ. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ გავიგე. არაა გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში მითი და სპექტაკლი ერთმანეთის სინონიმები გახდნენ. 20 წლის წინათ 9 აპრილი იყო... 18 წლის წინათ მეორე 9 აპრილი, ოღონდ დამოუკიდებლობის აღდგენის. ისე ვსაუბრობ, თითქოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე წელთაღრიცხვის ჟამთაღმწერელი ლაპარაკობდეს. მერე იყო ერთი, მეორე, მესამე ომი, მერე კიდევ სპექტაკლი, მერე ომი და მერე კიდევ 9 აპრილი. ჩემი თაობა დაკარგული თაობაა. თაობა, რომელიც ვერ გამოსულა არათუ მარტო ე.წ. საბჭოური სივრციდან, არამედ ფსიქოლოგიური პრობლემიდან – პოსტრავმატული სტრესული დაავადებიდან. მას კანიბალიზმში დაბრუნების ეშინია, სადაც მარტო ტილები და რწყილები რომ დაბორიალობდნენ, ეს კიდევ არ იქნებოდა მითოლოგიური გიგანტების საკადრისი უბედურება. ეშინია, რადგანაც ისტორიას, საუბედუროდ, ციკლურობა ახასიათებს. ამიტომაც, მომიტევეთ, თუ არაფერი გამახსენდა იმაზე უფრო „მაჟორული და ოპტიმისტური“ ვიდრე სპექტაკლის საზოგადოება – „კუდაბზიკეთი“.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“. საკ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი

აი, ამათი სამართალი!

# გეკუთვნის, მაგრამ... არ გეკუთვნის?!

(მეხუთე გვერდიდან)

შესახებ, მაშინვე გადავწყვიტე მისი პრივატიზება და საკუთარ ბინას მივაკითხე. თან წავიყვანე არქიტექტორი, დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის თანამშრომელი; ბინა რკინის კარებით დაგვხვდა ჩარაზული (საგულისხმოა, რომ სახლი ჩაბარებული არ არისძ.

მშენებლობის უფროსმა ნოდარ გოგავამ არასასიამოვნოდ ამოღერლა, რომ გასაღები წაღებული აქვს ვინმე ოლიკო სტურუას, ჩვენ მას დავურეკეთ, ერთი საათიც ველოდეთ, მაგრამ არც მოსვლა ინება და არც გასაღები გამოაგზავნა. ასეთი თავხედობით კი დაგვიმტკიცა კიდეც გავრცელებული ჭორი, რომ იგი უგულავას ნათესავია და მისი დაკვეთით ესხმის თავს მერისთვის არასასურველ ადამიანებს. მე ქალბატონ ოლიკოზე შარშან მქონდა რეპლიკა „ასავალ-დასავალში“. მასსა და მის ოჯახზე მალე გერმანიიდანაც ველოდები ფრიად საინტერესო მასალებს, რომელთაც უთუოდ გამოვაქვეყნებ.

რადგან სტურუა ვერ მოვიხელთეთ, მე და არქიტექტორმა დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობისკენ გავწიეთ, იურისტმა ნინო სახვაძემ გულდასმით წაიკითხა სასამართლოს დადგენილება, რომელიც ჩემთვის ბინის მოცემას ადასტურებდა და მითხრა: ბინა თქვენია და ეს ქალაქის მერიის დადგენილებითაც ჩანს, არაფერია საჩქარო. ამიტომ თუ ქალაქიდან გასვლას აპირებთ, როგორც ამბობთ, მიბრძანდით, „პრივატიზება ყოველთვის შეგეძლებათ, სამი თვის შემდეგაც, ამ ბინას თქვენ ვერავინ წაგართმევთო.

მას მადლობა გადავუხადე კონსულტაციისთვის და წამოვედი. ეს იყო 28 თუ 29 იანვარი, მეორე დღესვე მშვიდად დავტოვე ქალაქი და თბილისში მხოლოდ 31 მარტს დავბრუნდი .

მაშინვე ვეახელი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას. ქალბატონი სახვაძე გაბადრული დამხვდა, მაგიდიდან აიღო ფურცელი, ე.წ. განკარგულება, და თამამად მომაწოდა. დოკუმენტი მაუწყებდა „არაპრივატიზებული ბინის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას“, მაგრამ ბინის მეპატრონედ დასახელებული იყო არა კლარა აბრამია, არამედ... თქვენთვის უკვე ცნობილი სტურუა.

დავიშოკე, ისე დავიბენი, აზრს თავი ვერ მოვუყარე. ჩემ წინ იდგნენ უვიცი ან უვიცობის მოთამაშე იურისტები – სახვაძე და ხატიაშვილი, გამგეობის თანამშრომლები, რომლებიც მიმტკიცებდნენ, თეთრი შავიაო და წარბიც არ შეუხრიათ, უხერხულობასაც არ გრძნობდნენ.

ბოლოს გონს მოვედი და მივხვდი, რომ მათთან საუბარს და, მით უფრო, დავას აზრი არ ჰქონდა და გამგებლის რამაზ სულამანიძის კაბინეტისკენ წავედი. მას თათბირი ჰქონდა, ვერ მიმიღო, მაგრამ ფრიად სიმპათიურმა ახალგაზრდა მოადგილემ გოგი როზაქიძემ ფართოდ გამიღო კაბინეტის კარი.

აღელვებას ვერ ვმალავდი და არც მქონდა საუბრის სურვილი, მასპინძელი მიხვდა ჩემს მდგომარეობას და მშვიდად მითხრა, დაისვენეთ, დაწყნარდით და სამი დღის შემდეგ მობრძანდით, გავარკვიოთ რა მოხდა და რატომო.

დანიშნულ დღეს გამოვცხადდი გიორგი როზაქიძის კაბინეტში. მოწვეული იყო სამი იურისტი – ორი ჩემთვის ნაცნობი – ხატიაშვილი და სახვაძე, მესამე – იმათი ალი-კვალი ვინმე ჭიჭინაძე. პირველი წუთებიდანვე ვიგრძენი არაგულწრფელობა და უხერხულობა ერთად. ოთახში მხოლოდ სიყალბე ბატონობდა. გამგებლის მოადგილისთვის ხატიაშვილის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება იმდენად პრიმიტიული იყო, რომ ზოგჯერ ყვირილის სურვილიც მიჩნდებოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ ეს შეხვედრა გიგი უგულავას დაკვეთილი იყო და, ბუნებრივია, ჭეშმარიტი ვერ იქნებოდა.

ამ შეხვედრამაც დამარწმუნა, რომ ქალაქის მერი პატარა კაცია, ძალიან პატარა, სუსტი... უგულავამ კარგად იცის, რომ მას დავამარცხებ. ჩემი გამარჯვების დასტურია ევროპიდან მიღებული შეტყობინება ჩემთვის პირველად წართმეული ბინის თაობაზე და ეს მიმაჩნია მისი დამარცხების თავდებად.

უგულავა გულუბრყვილო პიროვნება არ არის იფიქროს, რომ მე, კლარა აბრამია, ამჯერად საქართველოს სასამართლოს ან პროკურატურას მივმართავ მის დასასჯელად. რა თქმა უნდა, არა (ან რა აზრი აქვსძ, მაგრამ ქალაქის მერმა მინდა ისიც იცოდეს, რომ ჩემთვის სიმართლის ზეიმი შორი მანძილიდან კიდევ ერთხელ მოვა და მისთვის განსაკუთრებულად მასშტაბური და დამანგრეველი დარტყმა იქნება.

**კლარა აბრამია**

***P. S. 2008 წლის 28 მარტს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ნანა დარასელიამ განიხილა და დაადასტურა ჩემი ბინის დაბრუნების საკითხი, იქ ოფიციალურად განვაცხადე, რომ ჩემს ერთოთახიან დაბრუნებულ ბინას ვჩუქნი გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურში ღრმად მოხუცი ბებიას ამარა დარჩენილ ჰერპესით დაავადებულ ხუთი წლის ავადმყოფ ბავშვს ლუკა ჩანგელიას. მისი ჯანმრთელობა აუცილებელ ჩარევას ითხოვს – მისთვის აუცილებელია, რომ იგი სასწრაფოდ გაიყვანონ სოფლიდან, რომლის ძლიერ ნესტიანი ჰაერიც განავითარებს ავადმყოფობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მალე შეიძლება ბავშვმა ინვალიდის სავარძელში გადაინაცვლოს. საინტერესოა, ჩემი ეს განცხადება სასამართლოს მდივანმა თეა შუშიაშვილმა შეიტანა თუ არა ოქმში. ჩემთვის კი მაშინვე ნათელი იყო, რომ ავადმყოფი ბავშვისადმი ჟურნალისტ კლარა აბრამიას ასეთი ყურადღება არასასიამოვნოდ გაუკვირდა მერიის წარმომადგენელს გრიგოლ ვატიტაძეს და მის მეგობარ ადვოკატს, ასევე მერიის ინტერესების დამცველ ვინმე პაატა კიკვაძეს. ამან მაფიქრებინა, რომ ეს ორი პიროვნება ოლიკო სტურუას მრჩეველიც იყო გიგი უგულავას დავალებით.***

***კ. ა.***

◉ გამოხმაურება

# უფსკრულში გადაჩეხვის ღირსნი...

*„მცივა, მცივა, შემიბრალეთ, თავშესაფარი მომეცით“*
*ვაჟა-ფშაველა, „ფითრი“*



**გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ახლახან გამოქვეყნებულ წერილს – „პასუხად რუსტამ ვახიტოვს“ ანუ „შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე“, რომელშიც აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და პროფესორი გიორგი ოთხმეზური უძველესი და უახლესი წყაროების მოშველიებით საფუძვლიანად აანალიზებენ ვინმე რუსტამ ვახიტოვის გამოხტომას სრულიად უსაფუძვლო და ვიღაცის დაკვეთით გამოქვეყნებული ნაცოდვილარის გამო.**

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ რამდენიც არ უნდა ვწეროთ და ვამტკიცოთ ქართულ პრესაში ამა თუ იმ ფაქტისა და ავტორების სიყალბეებზე, ეს არავითარ შედეგს არ მოგვცემს, უკეთუ ყველა „ისტორიული სიმართლე“ იმ მკითხველებს მიეწოდებათ ვის სასარგებლოდაც იღვწიან ვახიტოვები.

ე. წ. „სამხრეთ ოსეთისადმი მიძღვნილი მრავალი დოკუმენტი არსებობს, რომელთაგან სამაგალითოდ მინდა გავიხსენო 2004 წლის 17 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის წერილი – **„ქართველი ისტორიკოსებისთვის სურათი სავსებით ნათელია“, ანუ პასუხი – ზ. ვანიევის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტის დირექტორს რ. გაგლოითის“** – სადაც უძველეს წყაროებზე დაყრდნობით დადასტურებულია ისტორიული შიდა ქართლის საზღვრები, რომ 1936 წლამდე არავითარი „სამხრეთ ოსეთი“ არ არსებობდა. კი ბატონო, წერილმა ქართული საზოგადოება ერთხელ კიდევ დაარწმუნა ისტორიულ სიმართლეში, რომ „სამხრეთ ოსეთი“ მოგონილი, დაყოვნებული მოქმედების ნაღმი იყო კომუნისტების მიერ სახელდებული. ეს მეცნიერულად დასაბუთებული წერილი, რა თქმა უნდა, გაეგზავნებოდა ზ. ვანიევის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, მაგრამ არა მგონია ის ყურად ეღო ან საერთოდ ვინმეს წაეკითხა ამ ინსტიტუტის თანამშრომლების გარდა. ამ დროს კი მათ მონაჩმახს თითქმის ყველა რუსულენოვანი დაინტერესებული პირი ეცნობა. ამდენად, მინდა ვთხოვო აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს, რომ მისი წერილის ბოლოს აღნიშნული: „საქართველოს ისტორიკოსებისთვის სურათი სავსებით ნათელია და ამიტომ არავითარ დისკუსიებს ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური მიზნებისთვის ხელოვნურად შეთითხნილი ამ „პრობლემაზე“ აზრი არა აქვს“, ერთხელ კიდევ დაუბრუნდეს და საკადრისი პასუხი გასცეს საქართველოს ყველა მტერს იმდენად, რამდენადაც საკითხს, რაზედაც ე. წ. „სამხრეთ ოსეთელები“ და მათი მხარდამჭერები მთელ მსოფლიოში გაჰკივიან, რომ ქართველები თავს ესხმიან მათ მიწა-წყალს, არის ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ვახიტოვის მაგვარი ვაიმეცნიერები დიდხანს გააგრძელებენ საქართველოსადმი მტრულ-უსაფუძვლო გამოხდომებს.

ისე, არა მგონია ვახიტოვს არ ხელეწიფებოდეს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემა 31-ე ტომის 280 გვერდის წაკითხვა, სადაც სიტყვა-სიტყვითაა აღნიშნული – „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ვციკის“ 1921 წლის 20 იანვრის დეკრეტით შეიქმნა „გორსკაია“ რესპუბლიკა, სადაც ნაციონალური ოლქის სტატუსით შევიდა ოსეთი. 1924 წლის ივლისში „გორსკაია“ რესპუბლიკა გადაკეთდა და შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა რსფსრ-ს შემადგენლობაში, დედაქალაქი ორჯონიკიძე“.

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკების ანექსიის შედეგად საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება. 1921 წლიდან 1936 წლამდე, 15 წლის განმავლობაში არსად არ ფიგურირებს სამხრეთ ოსეთი და როგორც კი შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოელებმა, პირადად სერგო ორჯონიკიძემ საქართველოს საწინააღმდეგოდ შექმნა დაყოვნებული მოქმედების ნაღმი – „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ეს ყველაფერი უახლესი ისტორიიდან, ახლა ვნახოთ რაზე მეტყველებენ XVIII-XIX საუკუნეში არსებული ფაქტები.

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1985 წელს ქართველ მკითხველს აწვდის რელაციას „დე გრაი დეფუას ცნობები საქართველოს შესახებ“. იგი წარმოადგენს ბატონ ჯ. ოდიშელის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნ ტექსტს. მისივე კომენტარებით, 1768-1774 წლებში რუსეთ-საქართველოს ომში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტ კაპიტან კარლ დე გრაი დე ფუას მიერ ფელდმარშალ კირილე რაზუროვსკის მიმართ წარდგენილ მემუარულ ანგარიშს, სადაც „თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვალით, სამხედრო სიტუაციებთან კავშირში აღწერილია საქართველოს სინამდვილე. დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური ისტორიის თვალსაზრისით. შენიშნულია ქართველების, ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ყოფის ეთნოგრაფიული საინტერესო დეტალები“. აქ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ცნობები ოსებისა და მათი განსახლების შესახებ.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს ტერიტორიის გამოყენებისა და თანადგომის შესახებ, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II წერილობით მიმართა, თუ როგორი იყო ტოტლებენის ქცევები ერეკლე II მიმართ. ეს „ქცევები“ ცნობილი ფაქტია და ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებთ, თუმცა 1768 წლიდან 1783 წლამდე, 15 წლის განმავლობაში, ალბათ კი იყო გასათვალისწინებელი რა მოკავშირე ჰყავდა ეკრეკლე II – ერთმორწმუნე რუსეთის სახით, „მით უმეტეს უკვე იყო ლაპარაკი ტოტლებენის განზრახვაზე, ხელთ ეგდო საქართველო“. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ კაპიტან ლვოვს, რომელიც ამბობს: ტოტლებენმა საბოლოოდ გადაწყვიტა – მეფე ერეკლეს ორდენი ჩამოხსნას (ეკატერინე II ნაბოძარი **ც. ლ.**ძ და თვით იგი რუსეთს გააგზავნოს. მოწინააღმდეგე ბანაკის თავადები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დათრგუნოს და მთელი საქართველო მისი უდიდებულესობის ქვეშემდგომად აქციოს“. როგორც იტყვიან, აქ ყველაფერი ცხადია და თუ იმ მომენტში რუსეთს საქართველოს ტერიტორია არ სჭირდებოდა იმდენად რამდენადაც ჩრდილოეთ კავკასიაში ჰქონოდა საქმეები მოსაგვარებელი, მისი მოგვარების შემდეგ საქართველოსთვისაც მოიცლიდა.

1769 წლის 24 აგვისტოს ტოტლებენმა გადალახა თერგი და მივიდა ყაბარდოში. აქ რუსის ჯარს მტრულად ხვდებიან, რადგან ისინი დამპყრობლებად მიიჩნიეს, მაგრამ „თავადმა რატიევმა ისინი დააშოშმინა“. შემდეგ ექსპედიცია მიდის მცირე ჩერქეზეთში, რომლის მოსახლეობა „ყოველ 15 ან 20 წელიწადში სამოსახლოს იცვლის. ისინი აგებენ თავის სახლებს ხის ტოტებისაგან, რომელსაც თიხანარევ მიწისგან ლესავენ“. გამოდის, რომ ისინი საახოე მიწათმოქმედებას მისდევენ, მთავარი ამ რელაციაში აღწერიდან ჩვენთვის ისაა, რომ – „ბოლოს, მერვე დღის დამლევს, მივადექით კავკასიის მთის ძირს. დაბლობები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ მოზდოკსა და კავკასიონს შორის, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია აზიაში, მაგრამ აქ მოსახლე ხალხები მხოლოდ ძარცვა-რბევით ცხოვრობენ“. შემდეგ მოთხრობილია, რომ ისინი „ტაცებენ განსაკუთრებით რუსებს იმდენს, რამდენიც შეეძლებათ და შემდეგ ყუბანელებზე ყიდდნენ“. შემდეგი ხალხი, რომლებიც მათ შეხვედრიათ კავკასიის მთებში, ოსები ყოფილან, რომელთა წინამძღოლს თემურ სულთანს, ვიდრე ორასი არშინი ტილო არ მისცეს, ისე მათ გატარებას არ აპირებდა. დე გრაი დე ფუა აღნიშნავს, რომ მდინარე თერგზე გადასასვლელად მათ თერთმეტი ხიდი აუგიათ, ვიდრე მის სათავეს მიაღწევდნენ. „უფრო შორს ჩვენ ვნახეთ სოფელი ოსეტინცებად წოდებული ხალხისა, აღნიშნული ხალხის ბელადი აჰმედი მრავალი არშინი ტილოს ფასად გაჰყოლია მათ სტეფანწმინდამდე“.

„სწორედ სტეფანწმინდაში იწყება ამ ქართველთა ბატონის სამფლობელო, მან თავის ქვეშევრდომებად აქცია კავკასიონის ამ მხარეს მცხოვრები ხალხები, რომლებსაც მთიელები ეწოდებათ. მან იქ რამდენიმე ქართული სოფელიც კი დააფუძნა. ამ სოფლებში პირველთაგანი სტეფანწმინდაა. სწორედ აქ იჯდა ვინმე სახელად ყაზბეგი გამწესებული ერეკლეს მიერ ამ სოფლების ერთი ნაწილის გამგებლად“. რელაციიდან მონაკვეთების მოხმობა ვრცლად იმიტომ გვჭირდება, რომ სტეფანწმინდიდან დაწყებული ვიდრე იმერეთამდე, დე გრაი დე ფუას თვით ცხინვალში კი არა ჰყავს ნახსენები ოსები, რაც ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

ტოტლებენი იმერეთში (შორაპანიძ ჩასვლის შემდეგ დარწმუნდა, რომ მცირერიცხოვანი რაზმით და იმერეთის მეფის სოლომონის 1500 მეომრით ვერას გააწყობდა თურქთა გამაგრებული ციხე-სიმაგრეების მიმართ და იგი უკან ერეკლეს სამფლობელოსკენ გამოემართა – „ნოემბრის დასაწყისში წვიმიანი ამინდები გვაწუხებდა. საკვების ნაკლებობის გამო თითქმის ყველა ცხენი დაგვეხოცა, ამ დროს გრაფი დაიძრა ცხინვალისკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ იქ გამოეზამთრებინა“. რის შესახებაც ტოტლებენმა დე გრაი დე ფუა ერეკლე მეფესთან გააგზავნა ვითარების გასაცნობად, ერეკლემ მოუსმინა დე ფუას და პასუხიც დააბარა – „განკარგულებას გავცემ, – თქვა მან, – რომ ცხინვალში თქვენ არაფერი მოგაკლდებათ, მაგრამ ქალაქი მეტად პატარაა იმისთვის, რომ ყველა დაგიტიოთ. თქვენი ხალხის ნაწილი გორში დააბანაკეთ და გრაფს კი ვთხოვდი რომ ზამთრის ნაწილი თბილისში გაატაროს“...

1770 წლის აპრილის დამდეგს რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი დაიძრა ცხინვალიდან ახალციხის დასაპყრობად. აღწერს რა საქართველოს ლაშქრის შეკრების წესს, დე გრაი დე ფუა აღნიშნავს, რომ: „მესამე სადროშო თავადი ერისთავისაა და აერთიანებს გლეხებს მისი კუთვნილი მიწებიდან, სხვათა შორის, ქალაქ ახალგორიდან, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნის“... „და ბოლოს, მეშვიდე თავადი მაჩაბლის“... როგორც ვხედავთ, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ ოთხმოციან წლებში, არ არსებობდა არავითარი ოსეთი და სადროშოების აღწერისას ზუსტადაა მითითებული მათი მფლობელების ვინაობა. მითი იმის შესახებ, რომ 1774 წელს არსებობდა სამხრეთ ოსეთი სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერების ფანტაზიას განეკუთვნება.

**ქართველთა შემწყნარებლობა, ტოლერანტობა თუ სხვათა მიმართ კეთილმოპყრობა ყოველთვის უკუღმა შემოგვბრუნებია და მოსულები ჩვენი მიწის მფლობელებად გრძნობენ თავს. „ის ხალხი, რომლებსაც წარსული მაგალითად და გასათვალისწინებლად არ გამოუყენებია, უფსკრულში გადაჩეხვის ღირსიაო“, – ბრძანებს აკაკი. ვაი, რომ დღესაც აგდებით ვეკიდებით წარსულს...**

**ცეზარ ლაშხი,**
**საჩხერე-თბილისი.**

◉ სამეგრელოს მხარე

# ერი და ბერი ითხოვს, გამგებელი კი უარზეა!

**ორი წელიწადია ზუგდიდში შადრევნის ფონად გაკეთებულ ეროვნულ დროშაზე და ჯვრებზე ხალხი ფეხით დადის. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა.**

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ორიოდე წლის წინათ ხელისუფლების ძალისხმევით ზუგდიდის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, ბულვარის შუაში ძვირადღირებული მუსიკალური შადრევანი გაკეთდა, რასაც მოსახლეობა მიესალმა კიდეც. ამ შადრევანს ფონად დაუდგეს საქართველოს ეროვნული დროშა. ეს შადრევანი დახურულია და როცა ის არ ფუნქციონირებს (უმეტეს ხანს არ მუშაობს!ძ, მასზე შესაძლებელია დგომაც და ჯდომაც. ჩვენს ეროვნულ დროშაზე ჯვრებიცაა გამოსახული, ამიტომაც მასზე დგომა აშკარა მკრეხელობაა. ამიტომაც სასულიერო პირებმა და ზუგდიდის საზოგადოებრიობამ არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას შადრევნის ფონის შეცვლასთან დაკავშირებით (შესაძლებელია მისი შემოღობვაცძ.

2008 წლის აგვისტოში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ალექსანდრე ქობალიას წერილით მიმართა საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ ბატონმა ოთარ ფაცაციამ. მან გამოხატა ზუგდიდელთა უკმაყოფილება და გამგებელს შადრევნის შემოღობვა სთხოვა.

გამგეობას სამწუხაროდ, არაფერი გაუკეთებია ზუგდიდელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ალექსანდრე ქობალიას განმარტებით, ის ვერც დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნას, რადგანაც შადრევნის პროექტი თბილისიდანაა გამოგზავნილი, ამიტომ მე უფლება არა მაქვს შევცვალო ეს პროექტი, ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არისო!

ასე რომ, ერისა და ბერის მოთხოვნაზე მაღლა დგას თურმე „თბილისური“ პროექტის ურყევობა, პროექტისა, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთ რაიონში არ არის!

მაინც, რატომაა ასეთი შეუსაბამო, ხალხისთვის მიუღებელი პროექტი მხოლოდ ზუგდიდში?

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ბატონო პრეზიდენტო, ოპოზიცია კვლავ მარშზეა

## საქართველოში დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩის დონალდ მაკლარენის ღია წერილი პრეზიდენტ სააკაშვილს

„არსებობს ინტელექტის სამი ტიპი: ერთი მიდის შემეცნების გზით, მეორე უპირატესობას ანიჭებს იმას, თუ რას შეიმეცნებენ სხვები, მესამეს არ გააჩნია არც უნარი, შეიმეცნოს დამოუკიდებლობა, ანდა გაჰყვეს სხვების მიერ გაკვალულ გზას. ინტელექტის პირველი ტიპი ყველაზე სრულყოფილია, მეორე – კარგია, მესამე კი – სრულიად გამოუსადეგარი“. ის, რასაც ინტელექტთან დაკავშირებით ამბობდა მაკიაველი, ამ შემთხვევაში, ბატონო პრეზიდენტო, შეგიძლიათ გამოიყენოთ საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ოპოზიცია კვლავ იწყებს მოქმედებას. რას გააკეთებთ ყოველივე ამასთან დაკავშირებით?

გთხოვთ პატიებას, რომ ამას გწერთ მე, არაქართველი, მაგრამ ვიამაყებდი, ქართველი რომ ვყოფილიყავი. მართლაც, მე ვამაყობ იმით, რომ ამ ქვეყანასთან მაკავშირებს ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი. მე მივეკუთვნები იმ მილიონერებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ, რაც ხდება საქართველოში და რომელთა უმრავლესობა ამ ქვეყანას წარმატებებს უსურვებს, რომ წინამძღოლებსაც და მიმყოლებსაც ერთმანეთთან აკავშირებდეს ნდობა და სიმართლე. ამ ორი პრინციპის გარეშე არ არის ხანგრძლივი უშიშროება, სტაბილურობა და კეთილდღეობა.



შეიძლება, ჩემი ჩარევა თქვენ მიიჩნიოთ ზედმეტად ანდა კიდევ უფრო უარესი – უზრდელობად, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემ აზრს არ მიიღებთ „გარეშე ძალთა“ ინტერვენციად. ეს გამონათქვამი ხომ ეკუთვნის საბჭოთა ფრაზეოლოგიის კლასიკოსს. „ვარდების რევოლუციის“ დროს თქვენ გამაოცეთ იმით რომ, როგორც ლიდერს, გსურდათ ერთი რამ, გინდოდათ, რომ თქვენი შეფასების მთავარი კრიტერიუმი ყოფილიყო ის, თუ როგორ განსხვავდება თქვენი და თქვენი მთავრობის მართვის სტილი ყოველივე საბჭოურისგან: შიში განსხვავებული აზრის მიმართ, სასამართლოს კონტროლი და, შესაბამისად უსამართლობის უზენაესობა, მოჩვენებითობა, პროპაგანდა, სიცრუე და დაშინება. ეს ხომ ჩვეულებრივი ინსტრუმენტი იყო, რითაც ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირში.

იმისთვის, რომ ხაზი გაგესვათ ამ მოსაზრებებისთვის, ერთხელ წარმოთქმული სიტყვის ფინალში თქვენ განაცხადეთ: „როგორც არ უნდა შემაფასოს ჩემმა ქვეყანამ და ისტორიამ, ბრალს ვერასოდეს დამდებენ ფარისევლობაში“. მე მახსოვს ის წარუშლელი შთაბეჭდილებაც, რომელიც თქვენ მოახდინეთ ზუსტად ხუთი წლის წინათ, სამხედრო-საჰაერო ძალების წინაშე გამოსვლის დროს. მაშინ თქვენ თქვით, რომ „თითოეული დემოკრატიული ლიდერი მიდის მაშინ, როდესაც ეს საჭირო ხდება“.

თქვენ განაცხადეთ აგრეთვე, რომ „როდესაც წასვლის დრო დადგება, თქვენ გადასცემდით თქვენს მემკვიდრეს ისეთ ქვეყანას, რომელსაც ექნება მყარი საფუძველი აღორძინებისთვის“.

ის, ვინც ამჟამად აპირებს გახდეს თქვენი მემკვიდრე, ალბათ, არ არის აღფრთოვანებული ასეთი „საფუძვლებისგან“ და თუ, მიუხედავად ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის განცხადებისა, არ დამდგარა თქვენი წასვლის დრო, თქვენ გრჩებათ ორი გამოსავალი.

ერთხელ მე თქვენ და თქვენს უახლოეს მრჩევლებს გიმტკიცებდით, რომ საქართველოს საზოგადოებაში დემოკრატიისა და საკუთარი რწმენის ამაღლების ყველაზე ჯანსაღი გზა იქნებოდა სხვისი აზრისთვის პატივისცემა, ისეთი განსხვავებული აზრისთვის, როგორიცაა „დემოკრატიის ჟანგბადის“ სტიმულირება და ეს გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე ოპონენტების დევნა ბულდოზერებით (თუ მათი პოზიცია არ ემთხვევა პარტიის შეხედულებებს, ესე იგი „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის“ შეხედულებებს) ისე, თითქოს ისინი ქვეყნის მტრები იყვნენ. ეს ფრაზა აღვიძებს ცუდ ისტორიულ ხსოვნას.

ეს რჩევა უმრავლესობაში უგულებელყოფილი იქნება. არ ვიცი, ეს დამთხვევაა თუ არა, მაგრამ დღეს თქვენ აღმოჩნდით პირისპირ იმ ოპოზიციასთან, რომელიც არა მხოლოდ ფლუსტრირებულია, არამედ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და გალიზიანებულია, ვიდრე ოდესმე მას შემდეგ, რაც თქვენ პრეზიდენტი გახდით.

საინტერესოა, რომ გამოცდილ საპარლამენტო ოპოზიციას შეუერთდნენ ისინიც, რომლებიც თავიდანვე თქვენგან იყვნენ არჩეული უმაღლეს პოსტებზე და იდგნენ თქვენს გვერდით: ყოფილი სპიკერი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი, საგანგებო წარმომადგენლები და ელჩები. მარტო ჩამოთვლაც საკმარისია იმისთვის, რომ ვივარაუდოთ – ესენი სერიოზული ხალხია. ეჭვი არ არის, თქვენ შეგიძლიათ არ მიიღოთ ისინი მხედველობაში, ან მოითხოვოთ, რომ ისინი გაჩუმდნენ ან უბრალოდ სცემოთ მათ (როგორც ეს გაუკეთეთ 2007 წლის ნოემბერში ერთ-ერთ მათგანსძ, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა არ ამცირებს არა თუ მათ რაოდენობას, არამედ მათ მომხრეთა რაოდენობასაც და არ შეარბილებს მათ რისხვას და სურვილს, გაგაძევონ თქვენ თქვენი ოფისიდან.

არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა: ყური დაუგდოთ მათ მოთხოვნებს, ყური დაუგდოთ და არა მოუწოდოთ ფორმალური დიალოგისკენ.

თქვენ შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ასეც აკეთებთ. ასევე შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ყველაფერი ეს თქვენ უკვე გააკეთეთ, მაგრამ, იქნებ იმისთვის, რომ ქვეყანამ თქვენ დაგიჯეროთ, კიდევ რაღაცაა საჭირო? თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა. ინიციატივა თქვენს ხელთაა. თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად მიიღოთ პოზიტიური, თანმიმდევრული გადაწყვეტილებანი: ასეთ შემთხვევაში თქვენს ოპონენტებს აღარ ექნებოდათ არგუმენტები. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ თანამშრომლობაზე, მიიღოთ მათგან მხარდაჭერა, მაგალითად, მისცეთ მათ მონიტორინგის შესაძლებლობა და ამით შეინარჩუნოთ ინიციატივა. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ თქვენ იქნებით ის, ვინც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ევროკავშირის მოქმედებებს, ის, ვინც რეფორმების სერიოზული განახლებით მიიპყრობს ყურადღებას და მიიღებს ბრიუსელის მხარდაჭერას.

„მაგრამ ამ რეფორმებს დრო სჭირდება. ჩვენ უიმისოდაც ბევრი რამ შევძელით. ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებები, მაგრამ მართლაც ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენს ხელთაა. საქმე უკეთესად მიდის. უბრალოდ, საჭიროა ოდნავ მეტი დრო“, – ნათქვამია სცენარში. გთხოვთ პატიებას, მაგრამ ეს სცენარი გაცვეთილია, დრო კი გავიდა, თუ სასწრაფოდ არ მივიღებთ მეტად არსებით და სარწმუნო ზომებს. დაგეხმარებით მაგალითებით: აღადგინეთ პატივისცემა პიროვნებისა და ომბუდსმენის ინსტიტუტისადმი, ახლებურად განამტკიცეთ და შესაბამისად დააფინანსეთ კონტროლის პალატა, შექმენით კომისია არჩევნებთან დაკავშირებით, რომელსაც ვეღარავინ დასდებს ბრალს ინტერესების კონფლიქტთან დაკავშირებით და მოაწყვეთ სრული და დამოუკიდებელი გამოკვლევა გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, ამ საქმესთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რატომ მოაწერეთ ხელი გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული ადამიანების ვადამდელ გათავისუფლებას? რა იყო მთავარი: თქვენი რეკომენდაცია თუ კომისიის გადაწყვეტილება ვადამდელ გათავისუფლებაზე? თუ გადაწყვეტილება კომისიამ მიიღო, მაშინ რა უნდა ვიღონოთ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ, კომისიის ზოგიერთი წევრის განცხადებით, მათ არ მიუციათ გათავისუფლების რეკომენდაციები? იქნებ თქვენი გადაწყვეტილება და თქვენი დამოკიდებულება ამ საქმესთან თავიდანვე იყო დაკავშირებული იმასთან, რასაც ზოგიერთი თქვენი ოპონენტი უკავშირებს თქვენს ურთიერთობას შინაგან საქმეთა მინისტრთან?

პრეზიდენტო, თქვენ, საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგების თანახმად, არჩეული იყავით ხმების 53 პროცენტით. ნუთუ გჯერათ, რომ დღეს 53 პროცენტზე მეტი გინდ ნაკლები დაუჯერებს თქვენს პასუხებს ზემოთ დასმულ კითხვებზე?

დიქტატორსაც აქვს ხალხის ნდობა და ეს ნდობა ემყარება ომის გააზრებას, რომ აუცილებლობის შემთხვევაში იგი იმოქმედებს დიქტატორულად. მაგრამ თქვენდამი ნდობა ემყარებოდა აბსოლუტურად სხვა ღირებულებებს: იგი ემყარებოდა განცხადებებს, თქვენ რომ აკეთებდით, როდესაც მოხვედით ხელისუფლების სათავეში და ზოგიერთის თვალში იყავით სამართლიანი და დემოკრატიული რეფორმატორი.

ერთხელ მუსოლინის ჰკითხეს: „როგორ უძლებთ ამდენ სახეს, რომლებიც ყოველდღიურად მოგჩერებიან?“ მან უპასუხა: „მე მათში ვხედავ მხოლოდ იმას, რასაც მეუბნებიან. მე არ ვაძლევ მათ ჩემს შინაგან არსებასთან კონტაქტის საშუალებას. ისინი ჩემზე ახდენენ ისეთსავე შთაბეჭდილებას, როგორც ეს მაგიდა და ქაღალდები. მე ვინარჩუნებ ჩემს მარტოობას ხელშეუხებლად“. ორი წლით ადრე იგივე ლიდერმა განაცხადა: „ჩვენ დავასაფლავეთ თავისუფლების გახრწნილი გვამი“.

2004 წელს თქვენი ქვეყნის მოსახლეობა იზიარებდა არა მხოლოდ თქვენს რწმენას თავისუფლებისადმი, არამედ სწამდა ისიც, რომ ამ თავისუფლებას რეალობად გადააქცევდით: სასამართლოს თავისუფლებად, მასობრივი ინფორმაციების თავისუფლებად, ანგარიშვალდებულებებად, აღმოფხვრიდით ბნელ კუთხეებს. ამჯერად ამ ადამიანთა უმეტესობამ დაკარგა რწმენა. ეს არა მხოლოდ პოპულარობის დაკარგვაა, რასაც თქვენ ვარაუდობდით. ეს არის ფუნდამენტური დანაკარგები.

აღიდგინეთ რწმენა, თუ ბევრს გაუტეხთ თავს. სვლა თქვენზეა.

Грузия Online
информационно-аналитический портал

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთისა და ბელარუსის საზღვარზე შეიძლება აღდგეს სასაზღვრო კონტროლი**

ლუკაშენკომ დაავალა მთავრობას, შეიმუშაოს რუსეთის საზღვართან გასაშვები პუნქტების მოწყობის ტიპური პროექტები. ასეთი პუნქტების შექმნის აუცილებლობას მინსკი ხსნის იმით, რომ „სიტუაცია ბელარუს-რუსეთის საზღვარზე მოითხოვს დაუყოვნებლივი ზომების მიღებას“.

* * *

**ამერიკის სპეციალისტების მონაცემებით, „თალიბანის“ მეთაურები იმალებიან პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანში**

ამას გარდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ ადმირალმა მაიკლ მალენმა განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ პაკისტანელი პროთალიბური ექსტრემისტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბეითულა მასხუდი შეიყვანა თავისი მტრების სიაში.

* * *



**ფრანგს, რომელიც ხანძრის დროს დაიწვა, წარმატებით გადაუნერგეს ახალი ხელები და სახის ნაწილი**

უპრეცედენტო ოპერაციას 30 საათი დასჭირდა და მოითხოვა ათეულობით მედიკოსის შეწყობილი მუშაობა. სახის ნაწილობრივი გადანერგვის პირველი ოპერაციაც საფრანგეთში მოეწყო 2005 წელს.

* * *

**ცენტრალურ იტალიაში კვლავ მოხდა მიწისძვრა. დაღუპულთა რაოდენობამ 180 ადამიანს მიაღწია**

მიწისქვეშა რყევებმა რიხტერის შკალით 4,8 ბალს მიაღწია. მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი სულ ცოტა 179 კაცია. ნანგრევებში კვლავ არიან ცოცხალი ადამიანები. მიწისძვრის ზონაში აღმოჩნდნენ რუსებიც.



* * *

**რაულ კასტრომ კუბაში მიიღო ამერიკის კონგრესმენების დელეგაცია**

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შავკანიანთა ფრაქციის წარმომადგენლები კუბაში ჩავიდნენ გასული კვირის ბოლოს. ჯგუფს ხელმძღვანელობს კონგრესმენი კალიფორნიის შტატიდან ბარბარა ლი. ვიზიტის ფარგლებში ამერიკელმა კანონმდებლებმა მოაწყვეს რამდენიმე შეხვედრა კუბის წარმომადგენლებთან, განიხილავდნენ შესაძლო ღონისძიებებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის აღდგენასთან დაკავშირებით.



## გარესამყარო

# ყველაფერი მაინც ფულის ირგვლივ უტრიალებთ

**გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომლითაც, ფაქტობრივად, XXI საუკუნე და მთლიანად მესამე ათასწლეული დაიწყო, თანდათანობით პოლიტიკური მოვლენის სახეს იღებს. ანალიტიკოსთა საერთო აზრით, მთელი რიგი ქვეყნის მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობა მრავალი მთავრობის გადადგომას გამოიწვევს, მაგრამ ზოგიერთისთვის იგი შესაძლოა ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მამოძრავებელ ძალად გადაიქცეს.**

ყველა ქვეყანა კრიზისს ერთნაირად არ განიცდის იმ მარტივი მიზეზით, რომ გლობალიზაციის პროცესში თითოეული მათგანი, ასე ვთქვათ, საკუთარი მიმართულებიდან ჩაერთო. თუმცა ერთი რამ, მეტ-ნაკლებად, ყველას მაინც საერთო აქვს: **თუკი დემოკრატიულ ქვეყნებში კრიზისისგან დასაცავად მოსახლეობა მთავრობებს მიმართავს და მასობრივი დემონსტრაციები მაშინ იწყება, როცა სათანადო დახმარებას ვერ იღებენ, ავტოკრატიული რეჟიმებიც (მაგალითად, რუსეთში), პოლიტიკის შერბილების გამო, რაც ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით იყო გამოწვეული, პოტენციური ვნებათაღელვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.**

ამ ჭრილში რუსეთის თემას ეხმიანება გერმანული გაზეთი Die Welt, რომლის მიმომხილველი მანფრედ კვირინგი აღნიშნავს, რომ ბოლო გამოკითხვების თანახმად, **მარტო ერთი კვირის განმავლობაში პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის რეიტინგმა 55-დან 50 პროცენტამდე, ხოლო პრემიერ ვლადიმერ პუტინის 66 პროცენტამდე დაიწია,** რაც, მისი აზრით, „რუსეთელთა მზარდი უკმაყოფილების ინდიკატორია“. თანაც, ეს ტენდენცია ეკონომიკური კრიზისის გამწვავებასთან ერთად გაძლიერდება. მიმომხილველი ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ **სადღეისოდ რუსეთის საზოგადოებრიობა, ძირითადად, მშვიდად არის, ხელისუფალნი კი ნერვიულობენ. ამას თუნდაც პრეზიდენტ მედვედევის მიერ ძალოვანთა ფედერალური საკადრო რეზერვის შექმნის შესახებ განკარგულება მეტყველებს. არადა, ეს მაშინ ხდება, როცა მათი რიცხოვნობა, ვინც ამჟამად ქვეყნის შიგნით მართლწესრიგს იცავს, უკვე ჭარბობს რუსეთის ჯარის რიცხოვნობას.**

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში დაძაბულობის გრადუსი როგორც მოსახლეობაში, ისე სახელისუფლებო სტრუქტურებში საკმაოდ მაღალია, თუმცა მოტივაცია განსხვავებული: **ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გარდა ასევე საგარეო საფრთხის გაზრდილი რისკი და მთელი რიგი დემოკრატიული პროცესის ლამის ქრონიკულში გადაზრდილი კრიზისია.**

წელან საგარეო საფრთხის რისკი ვახსენეთ და აქვე ერთ მომენტზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. რამდენიმე დღის წინათ გერმანულმა გაზეთმა Berliner Zeitung-მა დასტამბა მოსკოვის კარნეგის ცენტრის პოლიტოლოგის დიმიტრი ტრენინის ინტერვიუ, რომლის თემა რუსეთისა და მისი უახლოესი მეზობლების ურთიერთობის საკითხი იყო.



**2008 წელს რუსეთმა გადაწყვიტა, რომ ეკონომიკური კრიზისი სწორედაც კარგი დროა საიმისოდ, რომ დსთ-ს ქვეყნებში იაფად იყიდოს აქტივები, თანაც არა მხოლოდ ეკონომიკური.** ამის კარგი მაგალითებია, თუნდაც ყირგიზეთში სამხედრო-საჰაერო ბაზა მანასი, ანდა **მინსკისთვის წაყენებული პრეტენზია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის თაობაზე იაფი კრედიტების „თაფლიკვერის“ სანაცვლოდ.** დსთ-ს სახელმწიფოებისთვის და, კერძოდ, ბელორუსიისთვის ეს საკუთარ სუვერენიტეტზე უარის თქმას ნიშნავს, რასაც, დიმიტრი ტრენინის აზრით, არც ერთი ქვეყანა არ გააკეთებს.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი რუსეთელ პოლიტოლოგთან საუბრისას იყო **რუსეთის საგარეო პოლიტიკის გატარებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა. ვინ განსაზღვრავს მას — პუტინი თუ მედვედევი?** საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის მიხედვით საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტა პრეზიდენტის პრეროგატივას წარმოადგენს, მაგრამ **ბევრ საკითხს მაინც პუტინი წყვეტს, როგორც, მაგალითად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცნობის საკითხია.** „იქნებ ვცდები, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, პუტინის სტილი უფროა“, — აცხადებს დიმიტრი ტრენინი და დასძენს, რომ დიდი შეცდომაა, როცა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებენ იმის მაგივრად, რომ იგი ჯერ პარტიებში, პარლამენტში, მასმედიის გამოცემებში, სახელმწიფო სტრუქტურებში განიხილონ.

ბოლო დროს დასავლეთში სულ უფრო მეტი მომხრე ჰყავს აზრს, რომ **რუსეთის პოლიტიკა — ესაა კონფრონტაციის პოლიტიკა,** თუმცა საქმე მაინც სხვანაირად არის. **რუსეთის პოლიტიკის საფუძველია ცინიკური წარმოდგენა იმისა, რომ „თავისუფლება, დემოკრატიული ფასეულობები — ეს ყველაფერი ზღაპარია, საბოლოო ანგარიშით ყველაფერი მაინც ფულის ირგვლივ ტრიალებს“.** რუსეთის პოლიტიკას მარტო ფასეულობები კი არა, სტრატეგიაც არა აქვს, იგი მხოლოდ მოკლევადიანი ინტერესების განხორციელებას ცდილობს, **რომელთა მიზანია ან მატერიალური მოგების ნახვა, ანდა ქვეყნის „სიძლიერის“ გამაგრება.**

ოთარ ტურაბელიძე

## პერიოდიკა

# lfdf vfhflbcj,fib

## ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომრები

**რა ხდება ქართულსა თუ უცხოურ მწერლობაში? რა მიმართულებები დომინირებს? რა აწუხებთ და აღელვებთ თანამედროვე მწერლებს? ამ კითხვებზე პასუხებს იპოვით ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალ ნომრებში (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე).**

მოგეხსენებათ, 1918 წლის 18 იანვარს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა საქართველოში — საზეიმოდ გაიხსნა პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში. სწორედ ამ ღირშესანიშნავ ფაქტს ეძღვნება ზურაბ გაიპარაშვილის ვრცელი წერილი.

როგორ ვაფასებთ ღირსეულ ადამიანებს? ხშირად უგულისყუროებასა და უმეცრებას ვავლენთ. ცნობილი გალაკტიონოლოგი ვახტანგ ჯავახაძე წერილით „შეცდომა თუ დანაშაული?“ ერთ სამწუხარო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას.

ჟურნალში ცნობილი ლიტერატურათმცოდნის დებიუტია ახალ ამპლუაში — ნონა კუპრეიშვილის ერთმოქმედებიანი პიესა — „თამაშით შეპყრობილი“. მაკა ჯოხაძე თავის პირველ შთაბეჭდილებაში, ლაკონურად, სხარტად და სადად გამოკვეთს პიესის უმთავრეს ღირსებას: „ავტორი კარგად იცნობს არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ ზოგადად ადამიანის მოთამაშე ბუნებას. მთავარია ვინ რით და რატომ თამაშობს, რა მოაქვს ამ თამაშს — ნგრევა, სკეპსისი და სასოწარკვეთა თუ სიკეთე, ნუგეში და კათარზისი“.

თანამედროვე პოეზია კი ნაილი ნეკერიშვილის ნაზი და თბილი ლექსებითაა წარმოდგენილი.

მერაბ კალანდაძე წერილში „აუსტერლიცის მზის ჩუმი სხივი“ ერთ მეტად საინტერესო საკითხს წამოჭრის და აანალიზებს.

ამ ჟურნალის ერთგულ მკითხველს კარგად ახსოვს ბოლო




ნომრებში დაბეჭდილი ვახტანგ ჭელიძის შესანიშნავი მოგონებები XX საუკუნის 30-იან წლებზე. ამ თემას ეხმიანება რეპრესირებული, საფრანგეთში ემიგრირებული ოჯახის წარმომადგენლის ჟორჟეტა ლამბაშიძის მონათხრობი 1921 წლიდან 1937 წლამდე.

როსტომ ჩხეიძემ კიდევ ერთი ახალი წიგნი გამოსცა ბიოგრაფიულ რომანთა ციკლიდან, ამჯერად ეს არის თავისებური, თუმცა ამ ავტორისთვის ჩვეული ექსპრესიული, ცოცხალი სტილით დაწერილი შიო არაგვისპირელის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკა. თუ რამ შთააგონა მწერალს ეს რომანი, ამის თაობაზე მას თამარ ლონღაძე ესაუბრება.

თანამედროვე მწერალთა შორის უდავოდ გამორჩეული ხელწერისაა ლაშა იმედაშვილი, რომლის ყოველი ახალი ნაწარმოები მკითხველთა დიდ გამოხმაურებას იწვევს. თხრობის დეტექტიური მანერა, ცნობილ ფაქტთა და მოვლენათა ორიგინალური რაკურსით წარმოჩენა, ირონიული ინტონაციები მკითხველს იზიდავს. სწორედ ამ მწერლის ახალი წიგნის „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“ განხილვა მოეწყო „ჩვენი მწერლობის“ სალონში. მარინე რევიშვილის მიერ გადმოცემული შეხვედრის რეპორტაჟი კი მკითხველს ცოცხლად წარმოუდგენს იმ დღის შთაბეჭდილებებს.

ყურადღებას იქცევს მანანა ღარიბაშვილის მიერ ლათინურიდან თარგმნილი ძველი რომაელი პოეტის კატულუსის ლექსები.

ჟურნალში აგრეთვე წაიკითხავთ ნინო ვახანიას წერილს „მესამე განზომილება“, რომელშიც დინო ბუცატისა და რუბენ დარიოს ნოველებია განხილული. მაია ჯალიაშვილი კი წერილით „ხეტიალი სულის ლაბირინთში“ ეხმიანება მაია მირიანაშვილის ახალ თარგმანებს და მიმოიხილავს ორ წიგნს, ჰერმან ჰესეს „დამიანესა“ და ეველინე შტაინ-ფიშერის „სასიამოვნო შეგრძნება მუცელში“.

ახლახან გამოიცა მამუკა ვაშაკიძის მოთხრობების პირველი კრებული ორიგინალური სახელწოდებით „გაჩუქებული სევდა“. აღსანიშნავია, რომ წიგნი ავტორისავე გრაფიკული ნამუშევრებით არის გაფორმებული. თამარ შაიშმელაშვილი გვთავაზობს მწერალთან მრავალმხრივ საინტერესო ექსპრეს-ინტერვიუს.

„რაღა მწერალი ცოლ-ქმარი და რაღა შავი ჭირი“ — ასეთნაირად ამჟღავნებს ცნობილი მწერალი ელზა მორანტე თავის ოჯახურ უთანხმოებას. მისი მეუღლე ალბერტო მორავია გახლდათ. ჟურნალში გამოქვეყნებულია მეგობრისადმი მიწერილი ელზას პირადი წერილი, რომელშიც საუბარია სიცრუესა და პლაგიატობაზე (იტალიურიდან თარგმნა ნუნუ გელაძემ).

ჟურნალში კიდევ ერთი საინტერესო თარგმანია. ეს არის გაბრიელ გარსია მარკესის ესეი „ფანტასია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“.

გიორგი კეკელიძე „ჩვენი მწერლობის“ ახალგაზრდა ფავორიტია. სწორედ მის ლექსებს ეხმიანება ხათუნა თავდგირიძე წერილით „ეროტიკული სევდის გამო“.

ამერიკას ახალი, ორმოცდამეოთხე პრეზიდენტი ჰყავს. რას ფიქრობენ ინტელექტუალი ამერიკელები ობამას გეგმებზე? ამის თაობაზე მწერალმა და პოლიტოლოგმა პაატა ჩხეიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა გამოჩენილ პოლიტიკურ მოაზროვნეს, პროფესორ კლაეს რინს, რომლის საპასუხო წერილიც ამ ნომერში იბეჭდება ორაზროვანი სათაურით „მოლოდინის კოშკები“.

მარიამ ლანდია

## ინფორმაცია

### მინისტრმა საანგარიშო შეხვედრების ციკლი დაასრულა



**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნიკა გვარამიას დედაქალაქის მასშტაბით რიგით მეხუთე შეხვედრა გლდანი-ნაძალადევის რაიონის პედაგოგებთან შედგა , რომლითაც მინისტრმა თბილისის პედაგოგებთან საანგარიშო შეხვედრების ციკლი დაასრულა.**

**300-მდე პედაგოგთან შეხვედრა მე-9 საჯარო სკოლაში შედგა და იგი ჩვეულ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრმა და პედაგოგებმა სასწავლო პროცესში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს და მინისტრს რეფორმის მიმდინარეობაზე კითხვებიც დაუსვეს. ნიკა გვარამიამ მასწავლებლებს ყველა სიახლე გააცნო და პრობლემების მაქსიმალურად მოგვარება აღუთქვა.**

### ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია

**მარტში წლიურმა ინფლაციამ 1,6 პროცენტი შეადგინა, რაც 2000 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 12.3 პროცენტი იყო.**

**საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საშუალო წლიური ინფლაცია 7,8 პროცენტზე დაფიქსირდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 9.5 პროცენტს შეადგენდა.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

მემორიალი

# გვახსოვხარ, კაპიტანო!

**თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის შოთა იამანიძის (1937-1971) ნათელ ხსოვნას მიეძღვნა დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლაში ორ ასაკობრივ ჯგუფში გამართული ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ აღნიშნული სასწავლო დაწესებულების დირექტორი იოსებ ხუციშვილი და ესთეტიკისა და სპორტის კათედრის გამგე ვახტანგ ბაქანიძე.**

როგორც უფროსთა (1998-1999 წლებში დაბადებულნი), ისე უმცროსთა (2000-2001 წლებში დაბადებულნი) ტურნირი მასპინძლებმა მოიგეს, რაც სავსებით ლოგიკური გახლავთ – ისინი ხომ სახელგანთქმული „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები არიან ვაკეში.

აღსანიშნავია მემორიალის სტუმრის – კასპის რაიონის აზერბაიჯანულ სოფელ ფერმის მოზრდილთა გუნდის წარმატება, რომელმაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და საბოლოოდ II ადგილი დაიკავა.

დავძენთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვეტერანთა ფონდის თავმჯდომარის ვაჟა ჟვანიას დაწესებული პრიზები ასპარეზობის გამორჩეულ მონაწილეებს შოთა იამანიძის ოჯახის წევრებმა და თანაკლუბელებმა გადასცეს.

**სურათებზე: თამაშის მომენტი; სტუმარმასპინძლები დაჯილდოების შემდეგ.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**









რეაბილიტაცია

# ბრალდება მოუხსნეს

**ბრიტანული პრემიერლიგის უძვირფასესი მოთამაშე, „მანჩესტერ სიტისა“ და ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი რობინიო ამიერიდან აღარ ითვლება გაუპატიურებაში ეჭვმიტანილად. ამის შესახებ ადგილობრივი პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ტელეარხი „სქაი ნიუსი“ იუწყება.**

ინგლისის ჩრდილოეთის ერთ-ერთი ქალაქის ღამის კლუბში ვითომდა განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტის შესახებ სამართალდამცავებს განცხადებით 18 წლის გოგონამ მიმართა. მართალია, ტყავის ბურთის დიდოსტატი მაშინვე დააპატიმრეს, მაგრამ გირაოთი მალევე გაათავისუფლეს. იგი წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და გამოძიებასთან თანამშრომლობდა.

მოგვიანებით რობინიომ დაუკითხავად დატოვა თავისი კლუბის საწვრთნელი ბაზა ესპანურ ტენერიფეში და „ოჯახურ გარემოებათა“ მომიზეზებით სამშობლოს მიაშურა.



„ბედნიერი ვარ, რომ რობსონ დე სოუზას კრიმინალთან დაკავშირებული ყველა ბრალდება მოეხსნა“ – ეს სამხრეთამერიკელის მრჩევლის კრის ნათანიელის სიტყვებია. მისივე შეფასებით, რობინიო სამაგალითო მეოჯახე და შრომისმოყვარე პროფესიონალია.

„ახლო მომავალში ფეხბურთელი საჯარო განცხადებას გააკეთებს, რომელშიც მძიმე დღეებში თანადგომისთვის მადლიერების გამოხატვას აპირებს ოჯახის წევრების, მეგობრების, თაყვანისმცემლებისა და თანაგუნდელებისადმი“, – დასძინა ნათანიელმა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ზაფხულში მადრიდის „რეალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ განხორციელებული დიდი ბრიტანეთისათვის სარეკორდო ტრანსფერის ღირებულება 32 მილიონ 500 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ჩოგბურთი

# არჩევანი თელ-ავივზე შეაჩერეს

**10-12 ივლისს ისრაელში გაიმართება დევისის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ და რუსეთის ნაკრებებს შორის.**

ტრადიციისამებრ, აღქმული მიწის შვილები საშინაო შეხვედრებს ღია სტადიონ „რამათ ჰაშარონზე“ მართავენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც წლევანდელი სეზონის პირველი წრის გასვლით ბრძოლაში მათ მრისხანე შვედები მალმეში დაამარცხეს, ინტერესი თანამემამულეთა თამაშის მიმართ იქაურ გულშემატკივართა შორის ერთიორად გაიზარდა და სწორედ მაშინ ამოტივტივდა საკალათბურთო კლუბ „მაკაბის“ საშინაო სარბიელ „ნოკია არენის“ კანდიდატურა, რომელიც 11000 მაყურებელს იტევს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტევადობის ფაქტორის გათვალისწინებით ისრაელის ჩოგბურთის ასოციაციამ არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა.

**ცნობისთვის:** ებრაელები 1987 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ ვაჟთა ყველაზე პრესტიჟული გუნდური ტურნირის მეოთხედფინალში. უწინ ისინი



ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებს მხოლოდ ერთხელ – 1984 წელს დონეცკში შეხვდნენ ევრო-აფრიკული ზონის ფინალში და წააგეს.

იმასაც გაუწყებთ, რომ მასპინძლებმა მომავალი პაექრობისთვის ჰარდის საფარი ამჯობინეს.

ვერსია

# მეზობლებმა მოწამლეს?

**როგორც იცით, 1 აპრილს სეულში სამხრეთ კორეის ეროვნულმა ნაკრებმა „მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი რაუნდის მატჩი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს მოუგო – 1:0.**

თამაშის დილას ერთბაშად რამდენიმე ჩრდილოეთკორეელმა ფეხბურთელმა კუჭის ტკივილი იგრძნო, ხოლო მოგვიანებით სამ მათგანს დაუსვეს დიაგნოზი „საკვებით მოწამვლა“.



კსდრ-ს ფეხბურთის ფედერაციის პროტესტს ამავე ქვეყნის ნაკრების თავკაცის კიმ ჩჟონ ხუნის მოთხოვნა მოჰყვა, რომელიც ფიფას შეხვედრის ნეიტრალურ სახელმწიფოში გადატანას სთავაზობდა, რაც არ დააკმაყოფილეს.

ჩრდილოეთკორეელ ჩინოვნიკთა მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული ინციდენტი სამხრეთელ თანამოძმეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციაა გეოგრაფიულ მეზობლებთან ურთიერთობის გასამკაცრებლად.

გამოუსწორებელი



# კუზიანს რა გაასწორებს!

**„ჩიკაგო ბულზში“ მაიკლ ჯორდანის ყოფილი თანაკლუბელი, შოუმენი, მსახიობი და სკანდალისტი დენის როდმანი მორიგ შარში გაეხვია – იგი დასავლეთ ჰოლივუდის სასტუმრო „ლონდონიდან“ გამოაგდეს.**

ამის მიზეზი მეზობელი ნომრების ბინადართა, უმეტესწილად – ქალბატონებისა და ბავშვებისადმი აგრესიული დამოკიდებულება გახდა, მოთმინების ფიალა კი დაცვის თანამშრომლებს მაშინ აევსოთ, როცა კალათბურთელმა ერთ-ერთ ლამაზმანს სილა გააწნა.

შეგახსენებთ, რომ „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენლებისადმი ანალოგიური დამოკიდებულებით გამოუსწორებელი ხულიგანი უწინაც გამოირჩეოდა.

ერიჯა!

**„ვარდებით“ მოსულ ხელისუფლებას ქვეყანა საკუთარი ჰგონია. ამის საფუძველს მათ ქვეყნის პრეზიდენტი პირადი მაგალითით უქმნის. იგი თავისი შეხედულებებით, მისდამი გამოჩენილი ერთგულების მიხედვით, არიგებს და ანიავებს სახელმწიფო ქონებას. იქ კი, სადაც ეს ოფიციალურად ვერ ხერხდება, სანდო პირებს განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვთ მინიჭებული და ისინიც განუკითხავად განკარგავენ სახელმწიფო-სახალხო ქონებას.**

# სააკაშვილმა ადეიშვილს ყვარელი აჩუქა?

**მინისტრის მამა ხელშეუხებელია**

**როგორც კახეთის ადამიანის უფლებათა დამცველთა რეგიონულ ორგანიზაციაში აცხადებენ, იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მამა შალვა ადეიშვილი ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. როგორც ირკვევა, იგი რაიონის მმართველი და სახელმწიფო ქონების ფაქტობრივი განმკარგავია. მან თვითნებურად მიითვისა ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწები, ჭალები, ტყეები.**

უფროსმა ადეიშვილმა ყველა ბენზინკონკურენტი მოიშორა თავიდან და ამჟამად ერთპიროვნულად განკარგავს რაიონის ბენზინგასამართ ქსელს. გარდა ამისა, იგი აქტიურად არის ჩაბმული სახელმწიფო ობიექტების გასხვისებაში და მათ ყველასთვის საეჭვოდ მიზერულ თანხებში რაიონის მოსახლეობისათვის სრულიად უცნობ პირებზეასხვისებს.

კახელი არასამთავრობოების მტკიცებით, ადეიშვილი უფროსის პირადი ჩარევით, ყვარლის სამუსიკო სკოლა, რომელიც 500 ათას დოლარად იყო შეფასებული, არნახულად დაბალ ფასში, 28 ათას ლარად გაიყიდა. მყიდველი ვინმე კანიევია, რომელსაც არა თუ ყვარელში, მთლიანად კახეთში არავინ იცნობს. როგორც ქუჩაში გამოყრილმა უმუშევარმა პედაგოგებმა და დახურული სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა ახალ ინვესტორთან გასაუბრება ითხოვეს, ვანიევმა არც კი იკადრა მათთვის პასუხის გაგზავნაც კი. კანონის სრული უგულებელყოფით, კონკურსის პირობების გამოქვეყნებისა და საერთო აუქციონის გარეშე გაიყიდა ყვარლის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. შენობა ოფიციალურად არც კი ყოფილა შეფასებული. შალვა ადეიშვილის ხელდასხმით მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი იმავე კანიევს წარმოუდგენლად მცირე ფასებში მიეყიდა.

ქუჩაში გამოშვებულ ბავშვებს გაუუქმეს მრავალი წრე, თავშეყრის ადგილი. სამაგიეროდ, როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, ბავშვების კუთვნილ ყოფილ შენობაში გახსნილია სტრიპტიზკლუბი.

აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტისა და საქმის რეალური ვითარების გარკვევით ლეიბორისტული პარტიის ყვარლის პირველადი ორგანიზაცია და მათი თავმჯდომარე თინათინ ნაცარაშვილი დაინტერესდნენ. საკრებულოსგან მათ მოითხოვეს შენობების გაყიდვის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია. მაგრამ საკრებულოს შესაბამისმა სამსახურებმა საჯარო ინფორმაცია გადამალეს და მთხოვნელების კანონიერი უფლება არ დააკმაყოფილეს.

ამის შემდეგ, აცხადებენ კახეთის ლეიბორისტები და არასამთავრობოები, ცხადი ხდება, რომ რაიონის მთელი ბუნებრივი სიმდიდრის პარალელურად ადეიშვილებმა შენობა-ნაგებობების ხელში ჩაგდებასაც მიჰყვეს ხელი. უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ კანიევი ცხოვრებაში არ არსებობს. ან თუ არსებობს, მას არავითარი კავშირი არა აქვს სამუსიკო სკოლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობების შეძენასთან და ამ საქმის სულისჩამდგმელი შვილის ძალაუფლებით გატოტოჩებული შალვა ადეიშვილია.

აღშფოთებული საზოგადოება მომხდარი ფაქტების სამართალდამცავ ორგანოებში გასაჩივრებას აპირებს. თუმცა წინასწარ ისიც იციან, რომ ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება, სარჩელს არავითარი რეაგირება არ მოჰყვება.

**ზაზა ბილიხოძე**

ვითარება

# ჯოზეფ ქეი ლონდონში გარბის?

**ბადრი პატარკაციშვილის „იმედთან“ დაკავშირებული აფერის შემდეგ ჯოზეფ ქეის ფიგურა სხვა, არანაკლებ სერიოზულ საქმეებშიც ამოტივტივდა. ამ საქმეების გასაცნობად და შესასწავლად ანტიკრიზისულ საბჭოში ამას წინათ ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი დაიბარეს.**

* * *

**სხდომაზე მთავარი მომხსენებელი ოპოზიციონერი პარლამენტარი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია გახლდათ. მისი განცხადებით, სამშენებლო კომპანია შპს „ნოლას“ მშენებლების 800 ათასი ლარი მართებს, ბიუჯეტისა კი — 11 მილიონი ლარი.**



როგორც ირკვევა, „ნოლას“ მეწილე არის კახა ხუჭუა, რომელსაც 50 პროცენტი ეკუთვნის. მეორე 50 პროცენტი ქეის ეკუთვნის, თუმცა იგი ქეის მეუღლის სოფიო მინაშვილის ფირმის „ჩაპელ სთრით ფროდაქშენ ლიმიტედის“ ანგარიშზეა. ბაღათურია ამტკიცებს, რომ მემკვიდრეობის შესახებ კანონით ჯოზეფ ქეი „ნოლას“ მეორე მფლობელიცაა.

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე ისიც ითქვა, რომ თუმცა „ნოლას“ მუშებისა და ბიუჯეტის სერიოზული დავალიანებები აქვს, საქართველოში სხვადასხვა კომპანიებსაც მართებს მისი ვალი 708 ლარის ოდენობით. თუმცა ქეი არ აპირებს ამ თანხის საქართველოში მიღებას და ითხოვს ფულის მეუღლის ფირმის ანგარიშზე გადარიცხვას.

უცნობია, რა ფარული გარიგება მოხდა ქეისა და მის 50-პროცენტიან მოწილეს, ამჟამად ეჭვმიტანილის სტატუსით დაკავებულ კახა ხუჭუას შორის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი თავისი წილის სრულად გადაფორმებას ითხოვს ქეის სახელზე, რომელიც, თავის მხრივ, კატეგორიულად მოითხოვს, რომ თანხა მხოლოდ და მხოლოდ „ჩაპელ სთრით პროდაქშენ ლიმიტედის“ ანგარიშზე დაჯდეს.

ლონდონში მეუღლის ფირმის ანგარიშზე თანხების გადარიცხვის კატეგორიული მოთხოვნა ანტიკრიზისული საბჭოს წევრების ეჭვს ბადებს, რომ გაქნილი ჯოზეფ ქეი ცდილობს, მიითვისოს თანხები, ვალები არ გადაიხადოს და საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში გადაბარგდეს.

ჯონდი ბაღათურია მოითხოვს, რომ აღნიშნული საქმის მასალები გულდასმით შეისწავლონ არა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროში, არამედ სამართალდამცავმა სტრუქტურებმაც. არ შეიძლება ქვეყნიდან თანხები გაედინებოდეს მაშინ, როდესაც ფირმას აქვს როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის დავალიანებაც. პირველ რიგში 8-თვიანი განაცდური მშენებლობებზე დასაქმებულებს უნდა აუნაზღაურდეთ, — მიაჩნია ჯონდი ბაღათურიას.

**გიორგი ზაზაძე**

**განცხადება**

სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება განმეორებით (მესამედ) დანიშნულია 2009 წლის 30 აპრილს დღის 11 საათზე.

**დღის წესრიგი**

1. 2008 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.

**მისამართი: ქ.ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.№ 72.**

სს „ყვარელის“ ადმინისტრაცია

ინფორმაცია

## ჩვილ ბავშვთა სახლს დაეხმარებიან

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა დაბა საგურამოს ჩვილ ბავშვთა სახლი მოინახულა და არსებულ მდგომარეობას გაეცნო.**

**— ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულებები იანვარში განათლების სამინისტროდან ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვიდა. სამუშაო ჯგუფი მდგომარეობის პასპორტიზაციას აწარმოებს, რათა შემდგომში პრობლემების მოგვარება ჩვენი რესურსებით დროულად მოხდეს. ჩვენი მიზანია, ყველაფერი გაკეთდეს, ბავშვებისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. აღსანიშნავია, რომ წელს ამ ბავშვების ჯანმრთელობის დაზღვევა მოვახერხეთ, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

პირველი გაზაფხული ნაომარ ქართლში

# სოფელში თეატრი მოვიდა

**სოფლის ბოლოს, მინდორზე, პაპა-შვილიშვილს დეკეული და ერთი თხაც გამოუყვანია. სულ ესაა, რაც რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შაქრო მინდიაშვილის ოჯახს შემორჩა. დროის ათვლას ახლა ზემო ნიქოზში, ზედ რომ მიჰკვრია ცხინვალს, თავისებურად მისდევენ: ომამდე და ომის შემდეგ.**

— სოფო ლაზარაშვილს ბიჭი რომ შეეძინა, როდის იყო, ომამდე?

— ჰო, ომამდე, მა როდის. ომის შემდეგ ხომ იმისმა დამ იმშობიარა, იმასაც ბიჭი ჰყავს, ამირანი დაარქვეს, საცრისხელა თვალები ჰქონია.

— თვალი დაუდგეს პუტინს, არც მაგას შერჩება ერთი დრო, სულ წვრილად მოჰკითხავენ.

პაპა მზეს მიფიცხებია და თვლემს თუ ფიქრებშია წასული, ახლა გიგლა-ბიჭი ამის გამოცნობას ლამობს. თან არემარეს ათვალიერებს, ბინოკლსაც მოიმარჯვებს ხოლმე. რახანია ომი დამთავრდა, მაგრამ ოსი მოთარეშეები დღესაც არ ასვენებენ სოფელს, ხან სად გამოჩნდებიან, ხან სად. შარშან აგვისტოში რაც მათ ლიახვისპირა სოფლებს დღე დააწიეს, მტრისას, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.

ადრე ამ მხარეში სოფელი არ იყო, 300-400 სული მსხვილფეხა საქონელი არ გაეყვანათ საძოვარზე. ომმა ყველაფერი დაანგრია და გააპარტახა.

— რუსები და ოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტ ნადავლს მოიგდებდა ხელთ, — მიამბობს ნიქოზელი პავლე შერაზადიშვილი, — სახლები გაგვიძარცვეს, ავტომანქანები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, პირუტყვი გარეკეს და წაილეს. ცხინვალში დღემდე იმ ნაყაჩაღარით ირჩენდნენ თავს. ახლა ნაძარცვი გამოელიათ და აღარ იციან, რა ქნან. ერთი სული აქვთ, როდის გაიფოთლება ტყეები, აი, მაშინ კი აიშვებენ.

გიგლა ბიჭი მიდამოს ყურადღებით ათვალიერებს.

— ეს ვისი მანქანაა, ნეტავ?

— ჰაი, პაპი, შანხაიდან ვილისი გამოვიდა, ჩვენკენ მოდის, არიქა, საქონელი წავასხათ და წავიდეთ, თორემ ეგენი კარგ დღეს არ დაგვაყრიან. ადრეც ხომ გახსოვს...

როგორ არ ახსოვს ბერიკაცს, სხვა რა იცის ორი ომის მომსწრემ. ჯერ იყო და, ფაშისტებს ეომებოდა, ახლა კიდევ — რუსებს. შანხაი კი ცხინვალის გარეუბანია, ოსი მოთარეშეების თავშესაფარი, საშოვარზე ოსები შანხაიდან გამოდიან, იტაცებენ ქართველების პირუტყვს, თუ შემთხვევა მიეცათ, ადამიანებსაც და მერე გამოსასყიდს თხოულობენ.

ამ ცხოვრებით ცხოვრობს დღეს ნიქოზიც და მთელი ლიახვისპირა სოფლებიც.

...პაპა და შვილიშვილი სოფელში შემოვიდნენ, ჩაუარეს ეკლესიას და სკოლის წინ უცხო ავტობუსი რომ შენიშნეს, შეცბა გიგლა-ბიჭი, გაახსენდა, რომ იმ დღეს გორის თეატრი სკოლის შენობაში წარმოდგენას მართავდა. ამასობაში სასკოლო ზარსაც შემოჰკრეს იმის ნიშნად, რომ საცაა სპექტაკლი დაიწყებოდა. ბიჭი პაპას დაემშვიდობა და ნახირიდან პირდაპირ თეატრში ამოყო თავი. დარბაზი გუგუნებდა. პატარა მწყემსს ყველაფერი აოცებდა და ახალისებდა — დეკორაციები, რომელზეც ქალაქის პეიზაჟები იყო გამოსახული, მსახიობების ჩაცმულობა და თამაში. თანასოფლელების ამდენი ღიმილი ადრე არ ენახა და ეს უფრო ახარებდა ბიჭს.

ახლა სპექტაკლი — ნოდარ ხუნწარიას კომედია „სხვისი შვილების მამა!“ ახლა მსახიობები — ლევან ოზგებაშვილი, ლიკა კევლიშვილი, მაია ტურაშვილი, ლევან ჯამბრიშვილი, ზაზა ცარულაშვილი!

დარბაზში მსხდომ კუშტ, დაღარულ სახეებზე ხანდახან ელვასავით ღიმილი გამოკრთებოდა ხოლმე. სოფლის დედაკაცები თავშეკავებით იცინოდნენ და თავსაფრის ბოლოთი იწმენდნენ ცრემლებს, ბავშვების ჟრიამულს ხომ ბოლო არ უჩანდა! ათას ჭირვარამგამოვლილ, ნაომარ და მაშვრალ ნიქოზს, თურმე, სიცილიც სცოდნია.

წარმოდგენა დამთავრდა. მაყურებლები მსახიობებს სცენიდან არ უშვებდნენ, ვიდრე პირობა არ ჩამოართვეს — კიდევ ჩამოდითო.

შარშანდელი ომის შემდეგ პირველი გაზაფხული შემოვიდა ქართლში. ფერად-ფერადებში ირთვება მინდორ-ველები, ბაღები და ხოდაბუნები. იმედიანი განწყობით ბრუნდებოდნენ შინ ნიქოზელები, ევროპიდანაც, გულს რომ მტლად ედება, ისეთი ამბები მოდის, საქართველოს ტერიტორიების მიმტაცებელ რუსეთს ევროკავშირიც და ნატოც, ანუ ევროპის ქვეყნებიც და ამერიკაც მიუკიბ-მოუკიბავად ეუბნებიან: აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაპყრობა — შეცდომაა! სხვა სიტყვებით: პატივი ეცით საერთაშორისო გაერთიანების პრინციპებს, იმპერიულ ამბიციებს კი, დროა, ლაგამი ამოსდოთო.

როგორი მოსასმენია?

**გურამ ვაშაკიძე**

**შპს „კარდიოექსპრესის“ დამფუძნებლები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული ექიმი, კარდიოლოგი, ქ. ხაშურის საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების დამფუძნებელი და მრავალი წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელი, შესაშური საექიმო ეთიკის მქონე და ავადმყოფების უანგარო მკურნალი, მრავალი ახალგაზრდა ექიმის გამზრდელი და გზის გამკვლევი, საქართველოს საექიმო საზოგადოების ღირსეული წევრი, ბატონი**

**კარლო მარუაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მოქალაქე და მეგობარი, ექიმი და ჯანდაცვის ორგანიზატორი, ლიცენზირების განყოფილების უფროსი**

**თამაზ ბეიტრიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



◎ რაც კარგია, ცუდი არ არის

# თუ ყველასია, მარტო „პრაიმ ტაიმში“ რატომ არის შეფუთული?

## ახალი კიოსკების გამო






ძალიან კარგია, რომ ამ ბოლო დროს თბილისში ახალი კიოსკები გაჩნდა, რაც ჩვენი ქალაქის მერიის თაოსნობა ყოფილა და ცუდი ნამდვილად არ არის, იმიტომ რომ კარგი საქმეა. ოღონდ უთუოდ თვალში ავად მოსახვედრია, რომ ყველა კიოსკი სამი მხრიდან გაზეთ „პრაიმ ტაიმშია“ გახვეული, ხოლო ოთხივე მხარეს მხოლოდ უცხოურად აწერია „PRESS“. თანაც ყველა კიოსკი გადატენილია ნაირ-ნაირი სიგარეტის კოლოფებით, ასე რომ, ერთი შეხედვით, თამბაქოს კიოსკი გეგონება და არა საგაზეთო ჯიხური.

როგორც ვიცი, ვიღაც-ვიღაცები ამ ახალი კიოსკების ქალაქში გამოჩენას ეწინააღმდეგებიან, რაც, ჩემი აზრით, ზოგიერთი გამომცემლის მონოპოლისტური „მადით“ უნდა ავხსნათ და უთუოდ ძირშივეა აღსაკვეთი. ნათქვამია, ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს ფოფოდიაო. დაე, მკითხველმაც თვითონ გადაწყვიტოს, რომელ გაზეთსა და ჟურნალს შეიძენს კიოსკში. ნუ ვაიძულებთ, რომ ერთი რომელიმე გამოცემის ამარა დარჩეს.

და კიდევ ერთი: კარგი იქნება, თუ იმასაც ყურადღებას მივაქცევთ, ვინ, რა დონისა და განათლების ადამიანი იჯდება კიოსკში და რა კულტურით შემოგვთავაზებს ამა თუ იმ პერიოდულ გამოცემას.

**ინეზა ყუფარაძე,**
არქიტექტორი

◎ ინფორმაცია

## საბერიოში აფხაზური სპეცრაზმი შეიჭრა

**როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, მათ სასტიკად სცემეს ოთხი ქართველი ახალგაზრდა.**

ისინი სოფლის მოსახლეობისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ 20 აპრილამდე აფხაზური პასპორტების აღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეიდის გამეორებით ემუქრებოდნენ.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, მთელი ღამის განმავლობაში სპეცრაზმის წარმომადგენლები ისროდნენ. საბედნიეროდ, სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

## მოზარდს მარცხენა კიდური მოჰკვეთეს

**გორის რაიონში ნაღმზე აფეთქებულ მოზარდს მარცხენა კიდურის ამპუტაცია ჩაუტარდა.**

ოპერაცია 15 წლის გიორგი მარიამიძეს გორის საავადმყოფოში გაუკეთდა.

ამ დროისთვის ავადმყოფი მძიმე მდგომარეობით თბილისში, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაშია მოთავსებული.

აფეთქება ერთ-ერთ იმ ადგილას მოხდა, სადაც აგვისტოში ოკუპანტების 58-ე არმიის ნაწილები იდგა.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◎ ასოციაციები

## როგორ მინდა, რომ აკაკი ცდებოდეს!

**ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელს თეატრალური საზოგადოების თავკაცობა შესთავაზა. რაფიელ ერისთავს მოადგილედ დაგინიშნავ, იონა მეუნარგიას – მდივნადო.**



აკაკიმ იუარა: არ გამოვა ეს საქმეო; „ქართველი ერთი თუ აღგია საქმეს, მოერევა, გააკეთებს; მაგრამ თუ სხვებიც ამოუდგნენ გვერდში, ერთმანეთს გაალაყებენ და დაიღუპება მათი საქმე“...

გაერთიანებული ოპოზიციის ერთობამ რომ არ გაამართლა, აკაკისეული ლოგიკის შედეგი ხომ არ იყო? მართალს ბრძანებს ვითომ აკაკი?

**ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მინდა, რომ აკაკი ცდებოდეს...**

## რისი საქმეა კენჭი!

**აკაკი წერეთელი წარმომადგენლობითს არჩევნებში კენჭს იყრიდა საჩხერეში. გააშავეს (ვინმე ხუსკივაძე ამჯობინეს!ძ.**

აკაკი წერს: ეს რომ გავიგე, არ მწყენია, გავიცინე, რადგან კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეაო; ჩემს ამომრჩეველს ერთმაც უღალატა და მეორემაცო...

მწარე სიმართლეა... და გაკვეთილი, რომელსაც ამდენი ხანია ვსწავლობთ და ვერ ვისწავლეთ... ვისწავლით კი ოდესმე?

**არადა, ის თუ არ ვირწმუნეთ, რომ „კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა“, ჩვენი საშველი არც იქნება!..**

## კაცი და თანაც რა კაცი!



**სპექტაკლ „იეთიმ გურჯში“ იყო ერთი პერსონაჟი, რომელიც იეთიმს მიაბარეს, მაგრამ იეთიმმა მოიშორა – შენგან კაცი არ გამოვაო...**

მერე პოლიციაში მიაბარეს, ხელში იარაღი დააჭერინეს და იეთიმს მიადგა დასაჭერად, თან წაეტრაბახა, აკი კაცი არ გამოვიდოდიო...

მთაწმინდის პარკის „გახსნის“ დღეს (4.04.2009ძ ზ. ბებაშვილის საშვიდნოემბრო გამოსვლა (2007წ.ძგაიხსენეს – „პატარა კაცების“ საქმიანობას რომ გმობდა და თავი „დიდ კაცად“ მოჰქონდა...

დიდკაცობა და პატარაკაცობა ტანის სიგრძე-სიგანით განსაზღვრული ცნებები ჰგონია იმ საცოდავს...

**ჰოდა, მასაც შეუძლია თქვას, აკი გამოვედი კაციო...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

◎ ანეკდოტები

– რა უნდა თქვა, როდესაც ხელფასს ღებულობ?

– გამარჯობა, ჩემო პატარავ!

* * *

– გამარჯობათ, თუ შეიძლება ერთი ხაჭაპური და კოკა-კოლა მიიტანეთ შემდეგ მისამართზე...

– მაპატიეთ, მაგრამ ეს ნდობის ტელეფონია!

– ჰო? მაშინ სწრაფად მომიტანეთ ეს ხაჭაპური, თორემ თავს მოვიკლავ!

* * *



სნეული მილიონერის ერთადერთმა მემკვიდრემ დაიწყო თავისი მომავლის დაგეგმვა, თუ როგორ იცხოვრებდა მამის გარდაცვალების შემდეგ.

გადაწყვიტა, რომ უთუოდ უნდა დაქორწინდეს. ამ აზრით განმსჭვალულმა აქციონერთა კრებაზე ერთ ლამაზ გოგოს დაადგა თვალი: „იქნებ თქვენ უბრალო კაცი გგონივართ, მაგრამ მე 65 მილიონი დოლარის მომავალი პატრონი ვარ“.

გოგო დაინტერესდა და სავიზიტო ბარათი გამოართვა, სამი დღის შემდეგ კი მისი დედინაცვალი გახდა.

ასე, საფინანსო დაგეგმვაში ქალები კაცებზე უკეთ ერკვევიან.

* * *

ქალებისთვის ალკოჰოლის ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი შეიძლება გახდეს... დაუგეგმავი ორსულობა...

◎ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.